პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ოთხშაბათი 20 აგვისტო № 191 (17834) ფასი 2 კაპ.

მომჭირნეობით ვხარჯოთ ელექტროენერგია!

ბაფხულის უკანასკნელი თვე იწურება, ჩვენებური თბილი შემოდგომაც მალე გაირბენს და კარს მოგვადგება ზამთარი, მას კი თავისი კანონები აქვს და მაცარად მოჰკითხავს ყველას, ვინც დროზე არ დაიჭირა თადარიგი. სწორედ ამ საკითხთან არის დაკავშირებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამა წლის მაისის დადგენილება „1980-1981 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში სათბობით, ელექტრობითა და თბოენერგიით სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის უზრუნველყოფის შესახებ“.

ახლა ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისადვის. იქმნება ბაზა მეთერთმეტე ხუთწლედში შეუფერხებელი მუშაობისათვის.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საგაზოდ მტკიცე ბაზის შექმნისათვის ბრძოლა უპირველესად ზამთრისათვის მზადებას ნიშნავს. ზამთარში მკვეთრად იზრდება მოთხოვნილება ყოველგვარ სათბობზე და განსაკუთრებით ელექტროენერგიაზე. ამიტომ გასაგებია, თუ რა საარსებო მნიშვნელობა ენიჭება მის გამოყენებას, ყაირათიან ხარჯვას.

როცა ელექტროენერგიის ყაირათიანი ხარჯვის საჭიროებაზე ვლაპარაკობთ, ეს როდი ნიშნავს, თითქოს ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობა გვქონდეს. პირიქით, სოციალისტური მეურნეობის გაძლიერის საგებგმო სისტემა საშუალებას აძლევს ჩვენს ქვეყანას ამ მიმართულებით სტაბილური მდგომარეობა შეინარჩუნოს. სამეფოთა კავშირი ერთადერთი ქვეყანაა, რომლის ეკონომიკის შეუნელებელ წინსვლასაც საფუძვლად საკუთარი სათბობ-ენერგეტიკული რესურსები უდევს. ახლა პირველ სოციალისტურ ქვეყანაში ყოველწლიურად 10-12 მილიონ კილოვატამდე სიმძლავრეები დგება ხალხის სამსახურში.

მაგრამ ამასთან ახალ ელექტროსიმძლავრეებთან ერთად მწყობრში დგება ახალი სამრეწველო საწარმოები, სასოფლო-სამეურნეო კომპლექსები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი სხვა ობიექტი, რომელთა არსებობაც უელექტროენერგიოდ წარმოუდგენელია.

აი ამით ვხელმძღვანელობთ, როცა ყაირათიანობას გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ. აღსანიშნავია, რომ ელექტროენერგიის მომჭირნეად ხარჯვის საქმეში ამ ბოლო ხანს რესპუბლიკაში გარკვეული წარმატებებია მოპოვებული. საგულისხმოა თუნდაც ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ზარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ენერგიის უთავბოლოდ მხარჯველი ორგანიზაციების რიცხვი ორჯერ შემცირდა.

ეს მაჩვენებელი გაცილებით მეტი იქნებოდა, ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს ყველა საწარმოსა და დაწესებულების ხელმძღვანელები ერთნაირი პასუხისმგებლობით რომ ეკიდებოდნენ, ისეთი პასუხისმგებლობით, როგორც უყურებენ ამ საქმეს თბილისის მეტროპოლიტენს, ჭუთაისის საავტომობილო ქარხნის, თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანების, თბილისის № 14 მაცივარკომბინატის ხელმძღვანელები. ამ საწარმოებში ელექტროენერგიის ყაირათიანი ხარჯვის საკითხი სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით რესპუბლიკის ბევრ სხვა ორგანიზაციაზე.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ხარჯვის სწორ ნორმირებას, ერთეულ პროდუქციაზე ხარჯშემცირებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ „რა ტემპითაც უნდა განვავითაროთ ენერგეტიკა, სათბობისა და ენერგიის დაზოგვა შუდამ უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფო ამოცანა იქნება. ამიტომ გეგმით უნდა გავითვალისწინოთ მოძველებული, მეტისმეტად ენერგოტევადი მოწყობილობის შეცვლის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ენერგოდამზოგველი ტექნოლოგიის ფართო გამოყენების, სამრეწველო ნაგებობათა და საცხოვრებელ შენობათა თბომედეგობის ამაღლების მზარდი დავალებანი. სათბობისა და ენერგიის დაზოგვას უნდა ცდილობდეს ყოველი კოლექტივი, ყოველი მშრომელი“.

ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელის ეს სიტყვები თითოეული საწარმოს, სამშენებლო, სატრანსპორტო ორგანიზაციის, სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა კოლექტივების მოქმედების ყოველდღიური პროგრამა უნდა იყოს. ამ მიმართულებით მუშაობას სისტემატიურად უნდა უწევდნენ კონტროლს პარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები. ისინი ვალდებული არიან ისე წარმართონ სოციალისტური შეჯიბრება, რომ ყაირათიანობა შრომითი მეტოქეობის შედეგების შეჯამებისას ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი გახდეს, მკაცრად მოჰკითხონ იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც ამ საქმეში მთელ პასუხისმგებლობას არ იჩენენ.

ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის ბრძოლის ავანგარდშია „საქმთავარენერგოს“ კოლექტივი. სწორედ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელთა, თითოეული მუშაკის თავდადებული შრომის შედეგია, რომ ასე საგრძნობლად შემცირდა ენერგიის მფლანგველთა რაოდენობა. „საქენერგოს“ წარმომადგენლები აკონტროლებენ სამრეწველო და სოფლის მეურნეობების საწარმოების, სხვა ობიექტების მუშაობას ენერგიის ყაირათიანად ხარჯვის მიმართულებით და სათანადო ღონისძიებებსაც ახორციელებენ.

ნორმით გათვალისწინებული ენერგიის ხარჯვა ყაირათიანობის უმთავრესი რეზერვია. ახლა რესპუბლიკაში ლიმიტირებულია ენერგიის 4500 მეგაჰერცელი. მათი ხვედრითი ხარჯი ელექტროენერგიის საერთო მოხმარების 70 პროცენტს აღემატება. მართალია, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ლიმიტით გათვალისწინებული ენერგია მთლიანად არ დახარჯულა რესპუბლიკაში, მაგრამ ეს ეკონომია ძირითადად მოდის იმ საწარმოთა წილად, რომლებმაც ენერგიის გამოყოფილი ნორმა ვერ აითვისეს სხვადასხვა მიზეზის გამო. ამ ხნის განმავლობაში ასამდე ორგანიზაციამ და საწარმომ დაუშვა ელექტროენერგიის გადახარჯვა, რისთვისაც მათ 266 ათასი მანეთი ჯარიმა გადაიხადეს.

დრო აღარ ითმენს. უნდა ვუმატოთ მუშაობის ტემპს იმისათვის, რომ ზამთრის წინაშე უძლურები არ აღმოჩნდეთ. გავაძლიეროთ მუშაობის ტემპი მეტი სათბობის მოსაპოვებლად, ენერგიის ყაირათიანად ხარჯვასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა დროულად შესასრულებლად, სათბობის შეუფერხებელ ტრანსპორტირებისა და მათით თბოელექტროსადგურების მოსამარაგებლად. მთლიანად უნდა მომარაგდეს სათბობებით თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური — რესპუბლიკისათვის ენერგიის მთავარი მიმწოდებელი. წყლისგანდელი წყალმცენარე ენერგიის ერთ-ერთ ასეთ ორსართულიან შენობას, ტიპური პროექტის მიხედვით რომ შენდება.

სკოლას მეორე წელია აშენებს „საქმახტმშენის“ № 7 ტრესტის ჩორდის სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ზ. ბუგანინშვილი) კოლექტივი, რომელსაც საგანმანათლებლო ნაგებობათა ჩქარაოსნული მშენებლობის კარგი გამოცდილება აქვს, მაგრამ სამწუხაროდ, ამ ტრადიციას მშენებლებმა აქ რატომღაც უღალატეს, ხელიდან გაუშვეს მეტად ძვირფასი დრო და გააჭიანურეს მშენებლობა. აქ 1 სექტემბერს სწავლის მაუწყებელი პირველი ზარი უნდა აწკრიალდეს, მაგრამ მშენებლობის დღევანდელი ტემპის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს მხოლოდ ტაბიერ ოცნებად დარჩება. აგვისტოს პირველი დეკადის ბოლოს მშენებლებს აგურის კედლების ამოშენებაც კი არ ჰქონდათ მთლიანად დამთავრებული. დრო ცოტა დარჩა. საშუშაო კი ძალიან ბევრია.

მშენებლობა თავიდანვე შეაფერხა მექანიზაციის დაბალმა დონემ. ძალიან დაგვიანდა ამშენ მოყვანა. ისიც ვერ აუღიის სამშენებლო მოედანზე მოძალებულ სამუშაოს — სამშენებლო მასალების მეორეს სართულზე ასიდვას. ამ დღეებში „საქმახტმშენის“ № 7 ტრესტის ტყიბულის მექანიზაციის“ უბნის ხელმძღვანელებმა უფერახი გაგზავნეს მეორე, უფრო მძლავრი თვითმავალი ამწე, მაგრამ მან დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია, „გზაში გაფუჭდა და დადგა. ასეთი მექანიზმის მოცდენა ახლა სწორედ რომ საგანგაშოა — მექანიზაციის მოუგვარებლობა ანელებს მშენებლობის ტემპს. განსაკუთრებით ფიქრდება სკოლის გარე ფასადის მოპირკეთება. აბა, რა შრომის ნაყოფიერებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მლესავები ბათქაშს მეორე სართულზე ვედრიოთით ეზიდვიან.

შეფერხებულია მასალების მომარაგება. ყველაზე საჩქაროა შენობის გადახურვა. მხურავებს შეუძლიათ შენობის ერთი ნახევრის გადახურვის დაწყება, მაგრამ ადგილზე არ არის შემოტანილი სამყოფი გადასახურავი მასალა — შიფერი. მეტად საშურია კიბის მოგდნების მოწყობა. ამ საქმისათვის არც ხელოსნები ჰყავთ და არც მეთლახეს ფილები გააჩნიათ. ასევე არ შესდგომიან სველ წერტილებში მოჭიქული ფილებით კედლების მოპირკეთებას.

სამუშაოთა დიდი ფრონტი აქვს მემონტაჟეთა ბრიგადას. მემონტაჟეები უკვე შეუდგნენ სკოლის ცენტრალური გათბობის ქსელის დამონტაჟებას; მოკლე დროში მათ ბევრი რამ გააკეთეს, მაგრამ საქმე კვლავ მოძალებულია. მიუხედავად ამისა არ იგრძნობა შემართება, ტემპი. მშენებლობაზე ჩვენი მისვლის დღეს სამონტაჟო სამუშაოები შეჩერებული იყო, ადგილზე ერთი მემონტაჟეც ვერ ვნახეთ. დილის საათებში მუშაობდნენ, შესვენების შემდეგ არ გამოჩენილანო, გვითხრეს; მშენებლობაზე ნაკლები იყო მუშახელი. გამოყოფილი ორმოცი მუშიდან მხოლოდ 26 მოვიდა.

მშენებლებმა უკმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ მიმწოდებლები ხშირად აკლებენ საშენ მასალებს. ვნახეთ დანაკლისის თაობაზე შედგენილი აქტები. აი, რაზე მეტყველებს ისინი: აგვანის აგურის ქარხნიდან ა. წ. 22 ივლისს მისაბმელიან სატვირთო ავტომანქანას, რომელსაც მძღოლი გ. მიხდიკური მართავდა, სათანადო ზედნადებითურთ უწერაში უნდა მოეტანა 2550 ცალი აგური, ფაქტობრივად კი მოზიდული მხოლოდ 2150 ცალი აგური აღმოჩნდა. ამავე დღეს 350 ცალით ნაკლები აგური მოიტანა იმ ავტომანქანამ, რომელსაც მძღოლი ხიდაშელი მართავდა. ჩორდის სამშენებლო სამმართველოს ცხინვალის ბაზამ 8 აგვისტოს სკოლის მშენებლობას გამოუგზავნა 4800 კილოგრამი ცემენტი. ადგილზე აწონის შემდეგ ცხინვალის ავტოსაწარმოს № 26-67 ავტომანქანის მძღოლს დააკლდა 750 კილოგრამი ეს მეტად საჭირო სამშენებლო მასალა. ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება. ეს ფაქტები საგულისხმოა და სათანადო ორგანოებმა ყურად უნდა იღონ. სად იკარგება სახელმწიფო ქონება, ვინ ითბობს ხელს?

უწერის სკოლის მშენებლობის გაჭიანურება იმის ბრალიც არის, რომ აქ ნაკლებად ზრუნავენ მუშათა კვებაზე. მშენებლებს არათუ ცხელი კერძები არ ეძლევათ, პური რა არის, ისიც ვერ შეუძლიათ ადგილზე. რაიკომკავშირის გამგეობის მესვეურთა მონდომება რომ იყოს, მუშათა კვების ორგანიზება შეიძლება. ძველ სკოლაში არის ბუფეტი, ჰყავთ მებუფეტეც, მაგრამ სურსათ-სანოვაგის შემოსაზიდად თავს არავინ იწუხებს.

სექტემბრის ზარამდე ცოტა დრო დარჩა. ახლა მშენებლები ყოველმხრივ ხელი უნდა შეეშველოთ და მკაცრად მოვთხოვოთ გრაფიკის დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი სასწავლო წლისათვის სკოლის საექსპლოატაციოდ გადაცემა ვერ მოხერხდება და უწერელ მოსწავლეებს 1 სექტემბრის ნაცვლად ჩამწარდებათ.

ვ. ციბრეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს კლკკ ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ლკკ ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სამინისტროებისა და უწყებებისა, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1980 წლის პირველი ნახევრის შედეგების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ლკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლებმაც განიხილეს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალები სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ რეგიონების, დარგების, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ისეთი ძირითადი მაჩვენებლების საფუძველზე, როგორიც არის სამრეწველო პროდუქციის წარმოება, მისი მატების, აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, საკუთარი ძალებით შესრულებულ საინჟინრო სამუშაოთა მოცულობა, მოსახლეობისათვის გაწეული საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაცია, საცალო საქონელბრუნვა, ტვირთბრუნვა და მგზავრთბრუნვა, მეცხოველეობის პროდუქტებისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის დამზადება, მათი ზრდის ტემპი, სახელმწიფოსათვის ჩაბარებული რქიანი პირუტყვის საშუალო წონა, გადაუხდელი თანხების მოცულობა, მუშათა კადრების დენადობა და სამუშაო დროის დანაკარგები ერთ მუშაზე განგარიშებით, სტატისტიკური ანგარიშგების, საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობა, ხარისხის მაჩვენებლები, შრომის დაცვის მდგომარეობა, სახალხო მოხმარებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და მთელი რიგი სხვა პროდუქციის გამოშვება დაადგინეს:

ცნონ საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების 1980 წლის პირველი ნახევრის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად:

ეჯიბრეგიან	გამარჯვებული
კვების მრეწველობის სამინისტრო — მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო — ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო — ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო
კავშირგაბმულობის სამინისტრო — საქმთავარენერგო	საქმთავარენერგო
საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო — საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო
მთავარგაზი — საქნავთობმომარაგებაგასაღება	მთავარგაზი
ვაჭრობის სამინისტრო — ქვაკვაშირი	ვაჭრობის სამინისტრო
მშენებლობის სამინისტრო — სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	სასოფლო მშენებლობის სამინისტრო
სატყეო მეურნეობის სამინისტრო — წყალთა მეურნეობის სამინისტრო	სატყეო მეურნეობის სამინისტრო
საქმთავარმონტაჟსპეცმშენი — საქჰიდროენერგომშენი	საქჰიდროენერგომშენი
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო — საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველო	საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველო

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გურჯაანელთა საყურადღებო ინიციატივა

გურჯაანის რაიონის მევენახეებმა და მეღვინეობის საწარმოთა მუშაკებმა, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ჩაებნენ, კონკრეტული ვალდებულებანი აიღეს, რათა გაუმჯობესონ ყურძნის ხარისხი და გაზარდონ მაღალხარისხოვანი სამარკო ღვინოების წარმოება.

გურჯაანელები იბრძვიან იმისათვის, რომ უკვე მომდინარე სეზონში 20 პროცენტამდე გაზარდონ ყურძნის შაქრიანობა. ამ მიზნების მიღწევაში ისინი ეყრდნობიან მეცნიერთა და სპეციალისტთა რეკომენდაციებს. ვენახების მოვლის, სარწყავი წყლის სასუქების და შხამქიმიკატების გამოყენების, პირველადი მეღვინეობის ქარხნებში წარმოების ტექნოლოგიის დაცვის საკითხებზე. დარგის ინტენსიფიკაციას ხელს უწყობს ყურძნის წარმოებისა და დამზადების დაგეგმვის სრულყოფილ და მატერიალური სტიმულირებელ ღონისძიებანიც. მაგალითად, ყურძნის დამზადების გეგმასთან ერთად დაწესებულია ჰექტარზე პირობითი შაქრის დამზადების გეგმაც. გეგმის შესრულების აღრიცხვა გადაწყდა აწარმოონ ჩასათვლელი წონის მიხედვით, ამასთან ფიზიკური წონაზე დამზადებული პროდუქციის შემდგომი გაანგარიშებით გაითვალისწინონ მისი შაქრიანობის მაჩვენებელი იმის ანალოგიურად, როგორც ეს ხელმწიფოსათვის რძის ჩაბარების დროს ხდება ხოლმე. მშრომელთა დამატებითი მატერიალური წახალისება ვათვალისწინებულია როგორც რაოდენობრივი, ისე კონდიციური მაჩვენებლების მიხედვით.

რაიონში შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელება საშუალოდ 2,1 პროცენტით გაზრდის ყოველ ჰექტარ ვენახში პირობითი შაქრის მოღებას. ვალდებულების რეალიზაციის — რაიონში 140 ათასი ტონა ყურძნის დამზადების—დროს ეს ზრდა შეადგენს 14 ათას ტონა პროდუქციას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა გურჯაანელთა ინიციატივა—გაშალონ შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავად ყურძნის ხარისხის გაუმჯობესებისა და მაღალხარისხოვანი ქართული ღვინოების წარმოების გადიდებისათვის. მევენახეობის რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტს“ წინადადება მიეცათ უზრუნველყონ გურჯაანელთა ინიციატივის საქმიანი განხილვა და თანმიმდევრული ხელშეწყობა.

ინიციატორთა მხარდაჭერა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, პირველადი მეღვინეობის საწარმოებში. საქართველოს მიბაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წინაშე დაისვა ამოცანა ადგილობრივ სპეციალისტებთან ერთად გურჯაანის რაიონის თითოეული მეკოზინისათვის შეიმუშაოს ყურძნის კრეფის, და გადასამუშავებელ საწარმოებში მიტანის დეტალური გრაფიკი. ამასთან გამოიყენოს „რთველი-80“ მართვის ავტომატიზებული სისტემა.

რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტი“ მოვალეა შეისწავლოს შესაძლებლობანი, რათა უკვე წელსა და მომდევნო წლებში მნიშვნელოვნად გაზარდონ მაღალხარისხოვანი სამარკო მშრალი სუფრისა და ნახევრადტკბილი ღვინოების წარმოება.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტს“ დაეკალათ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მონაწილეობით შეიმუშაონ დასაბუთებული წინადადებანი, რომელთა განხორციელება გაადიდებს მევენახეობასა და მეღვინეობაში დასაქმებულ მოშაკთა მატერიალურ დაინტერესებას ყურძნის ხარისხის გაუმჯობესებისა და მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოების გაზრდით.

რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაეკალა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ამა წლის დამლევამდე საშეფოებულ რაიონის მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა წინადადებანი ყურძნის წარმოებისა და დამზადების დაგეგმვის პრინციპების შეცვლის შესახებ, რათა მათში შეიტანონ ყურძნის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მევენახეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტს დაეკისრა მეთოდიკური ხელმძღვანელობა გაუწიოს გურჯაანელთა ინიციატივის განხორციელებას. (საქინფორმი).

ᲡᲐᲛᲔᲪᲘᲔᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში წარმატებით გადაწყდა რძის შეგროვებისა და გადაზიდვის პრობლემა. აქ, პირველად რესპუბლიკაში, სარძეო-სასაქონლო ფერმებში დამონტაჟებულია საცივარი დანადგარები.

სიახლე საშუალებას იძლევა გახანგრძლივდეს რძის ტრანსპორტირების ვადა.

წელს წითელწყაროს რაიონის ყველა სასაქონლო-სარძეო ფერმა აღიჭურვება საცივარი დანადგარებით.



ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲑᲖᲔ: წითელწყაროს რაიონის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის სარძეო-სასაქონლო ფერმის მწველავები (მარცხნიდან) ნინო არტამონოვა და ელიკო არაბული ამოწმებენ რძის ხარისხს საცივარ დანადგარში.

ბ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოკორესპ.).

ᲝᲠᲑᲘᲢᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 19 აგვისტო. (საკდესი). 19 კვირაა მუშაობენ დედამიწისირგვლივ კოსმოსში ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი. დღეს „სოიუზ-6“-„სოიუზ-37“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ეკიპაჟი განაგრძობს მუშაობას ბუნებრივი რესურსების კვლევისა და გარემო ბუნების შესწავლის პროგრამით. კოსმონავტები აწარმოებენ დედამიწის ვიზუალურ დაკვირვებას და ფოტო გადაღებას მკფ-6მ და კატე-140 აპარატურის მეშვეობით. გადაღება წარმოებს კასპიისა და არალის ზღვების, შუა აზიის ალკალიანი რაიონების, კრასნოიარსკის მხარის სამხრეთის, იმიერბაიკალისა და შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიის გადაფრენის დროს.

კოსმოსური მასალათმცოდნეობის პროგრამით ელექტროსახურებელი ღუმელი „კრისტალის“ რამდენიმე ექსპერიმენტი დამთავრდა.

ბიოლოგიური გამოკვლევების პროგრამით კოსმოსურ ორანჟერეებში „ოაზისსა“ და „მალაქიტში“ დაიწყო უმაღლეს მცენარეებზე ექსპერიმენტების მორიგი სერია.

ამ საღამოსათვის დაგეგმილია კიდევ ერთი ტექნოლოგიური ექსპერიმენტი უწონობის პირობებში ნახევარგამტარი მასალის — ფოსფიდ-გალიუმის მონოკრისტალის მიღების მიზნით.

ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი თავს კარგად გრძნობენ. ფრენის პროგრამა წარმატებით სრულდება.

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ Ი. ᲪᲔᲓᲔᲜᲑᲐᲚᲡ

ᲧᲘᲠᲘᲛᲘ. ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. (საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო).

18 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ყირიმში მეგობრულად შეხვედნენ ერთმანეთს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ცედენბალი, რომელიც დასასვენებლად არის ჩამოსული საბჭოთა კავშირში.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. ცედენბალმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საბჭოთა და მონღოლი ხალხების ურთიერთობა ნიადაგ მდიდრდება ახალი ფორმებით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობენ პოლიტიკაში, იდეოლოგიაში, კადრების შომზადებასა და სხვა დარგებში. სულ უფრო ეფექტიანი ხდება საბჭოთა კავშირის მთელი რიგი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების პარტიული ორგანიზაციებისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის აიმაკების პარტიული ორგანიზაციების ურთიერთობა.

წარმატებით ვითარდება ეკონომიკური ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და მონღოლეთს შორის. საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის საქონელბრუნვა 1981-1985 წლებში 1,5-ჯერ გაიზრდება მიმდინარე ხუთწლედთან შედარებით და დაახლოებით 5 მილიარდ მანეთს მიაღწევს. შეთანხმებულია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით მეცხოველეობის ზრდის შემდგომი სტიმულირების, აგრეთვე სათბობ-ენერგეტიკული, სამთომომპოვებელი, მსუბუქი, კვებისა და რესპუბლიკის მრეწველობის სხვა დარგების განვითარების ღონისძიებანი.

ი. ცედენბალმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის თანამშრომლობა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპზეა დაფუძნებული, მონღოლ ხალხს ხელს უწყობს დიდი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში, ეთილდღეობის გაუმჯობესებაში. მან გულითადი მადლობა მოახსენა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას და პირადად ლ. ი. ბრეჟნევს სოციალიზმის მშენებლობაში მონღოლი ხალხისადმი მუდმივი, ყოველმხრივი ძმური დახმარებისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. ცედენბალმა განიხილეს ბევრი სხვადასხვა საერთაშორისო საკითხი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს აზიის პრობლემებს. აზიის პოლიტიკური ცხოვრების დამახასიათებელი ნიშანია მშვიდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობისადმი, სოციალური პროგრესისადმი, ერთა ეროვნული სუვერენიტეტის დაცვისადმი ხალხთა მისწრაფების განმტკიცება. ამასთანავე აშკარად იგრძნობა აზიის ხალხთა თავისუფლების საქმისადმი მტრული ძალების სიშიში აქტიურობა.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები და ჩინელი ჰეგემონისტები, თითოეული თავის ყაიდაზე, სერიოზულად წამლავენ საერთაშორისო ურთიერთობას კონტინენტზე, ცდილობენ დაამკვიდრონ და გააძლიერონ კონფლიქტური სიტუაციები. ამას მოწმობს კრიზისი, რომელიც მრავალი წელია გრძელდება ახლო აღმოსავლეთში, დაძაბულობა ირანის გარშემო, ავღანეთის ანრილის რევოლუციის მონაპოვართა ხელყოფა, უზეში სამხედრო ინტერვენციის ზემოქმედება ინდო-ჩინეთის ქვეყნებზე, ასევე ნეკრ სახელმწიფოთა სამნიო საქმეებში ჩარევის ცდები.

საბჭოთა კავშირი და მონღოლეთი სოლიდარობენ მთავრობის წრეების, დემოკრატიული მოძრაობების, პროგრესული ორგანიზაციებისა და ხალხის ფართო მასების ბრძოლას იმ უფლების მოპოვებისათვის, რომ საკუთარ სახლში თვითონ იყვნენ ბატონ-პატრონნი. ისინი იღწიან ვითარების ნორმალიზაციისა და აზიის სახელმწიფოებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისათვის.

დაძაბულობის შენელება ისევე სჭირდება აზიას, როგორც ევროპასა და მსოფლიოს ნებისმიერ სხვა რაიონს. ეს კი მოითხოვს ძალის ან ძალის გამოყენებით დამუქრების პოლიტიკაზე სრულ უარის თქმას. აზიის მტკიცე მშვიდობა ყველაზე ეფექტიანად შეუწყობს ხელს მსოფლიო პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებას.

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. ცედენბალის შეხვედრამ მეგობრულ, გულითად ვითარებაში ჩაიარა და ცხადყო, რომ სავსებით ერთნაირია მათი შეხედულებანი ყველა განხილულ საკითხზე.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო. (საკდესი).

ᲡᲣᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ ■ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

18 აგვისტოს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს განაგრძონ მუშაობა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებზე, ამასთან იხელმძღვანელონ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირეულ საკითხებზე პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებითა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებით, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით და „სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ გეგმის პროექტში უფრო სრულად აისახოს სახალხო მეურნეობაში არსებული რეზერვები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება, გეგმის ძირითადი მაჩვენებლების შეწონასწორება იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, გაუმჯობესდეს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა, განმტკიცდეს ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება.

წამოყენებულია წინადადება, რომ კაპიტალური დაბანდებებს, მატერიალურ-ტექნიკურ და შრომითს რესურსებს თავი მოუყარონ 1981-1982 წლების ასამოქმედებელ ობიექტებზე, მნიშვნელოვნად შეამცირონ დაუმთავრებელი მშენებლობისა და დაუდგმელი მოწყობილობის მოცულობა, უზრუნველყონ მოქმედ საწარმოთა ტექნიკური განახლება და რეკონსტრუქცია, საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენება.

გაგრძელდება მუშაობა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების, ნედლეულისა და მასალების, განსაკუთრებით, შავი და ფერადი ლითონების უფრო რაციონალური მოხმარებისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მათი ყოველი ღონისძიებით დაზოგვისათვის.

გეგმის პროექტის დახვეწისას გათვალისწინებულია დაისახოს დამატებითი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებას, მოძრავი შემადგენლობის გამოყენების საექსპლოატაციო მაჩვენებლების ამაღლებას და ამ საფუძველზე ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის სულ უფრო გადიდებას.

ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებაა გითვალისწინონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სპინაო მშენებლობის საჭირო პროგრამის განხორციელება, ამ მიზნით გამოყოფილი სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა უფრო რაციონალური გამოყენება, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და მოსახლეობის მომსახურების გაფართოების დამატებითი შესაძლებლობების გამოძებნა, საქონლის ხარისხის ამაღლება და მისი ასორტიმენტის გაზრდა იმ მიზნით, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს დაევალა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეებს, სსრ კავშირის მინისტრებისა და უწყებათა ხელმძღვანელებს მონაწილეობით განიხილოს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის, სსრ კავშირის სამინისტროსა და უწყების მიხედვით და მოამზადოს აღნიშნული პროექტები, რათა უზრუნველყოს საჭირო პირობები 1981 წელს — მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს სახალხო მეურნეობის სტაბილური და რიტმული მუშაობისათვის.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები განსახილველად წარედგინება სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ა. ტიხონოვმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დოლგიხი.

(საკდესი).

ამხანაგი ზ. ა. პატარიძე სამხრეთ ოსეთში

სამხრეთ ოსეთში ფართოვდება კაპიტალური მშენებლობა. ცხინვალში, ავტონომიური ოლქის რაიონულ ცენტრებში აგებენ და საექსპლოატაციოდ გადასცემენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ობიექტებს, საცხოვრებელ სახლებს, სკოლებს, საბავშვო ბაღებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დწესებულებებს, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს. სამუშაოთა მიმდინარეობის გასაცნობად სამხრეთ ოსეთს ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე. მან დაათვალიერა ცხინვალის ახალმშენებლობანი, კერძოდ, ტრიკოტაჟის საცვლების ფაბრიკის, მექანიკური ქარხნის მშენებლობა. იყო „ელექტროვიბრომანქანის“ ქარხანაში. ცხინვალისა და ზნაურის რაიონებში ამხ. ზ. ა. პატარიძე დაინტერესდა მეცხოველეობის კომპლექსების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის, საავადმყოფოსა და სხვა ობიექტების მშენებლობის საკითხებით, ესაუბრა მშენებლებს, პარტიელთ და სამეურნეო მუშაკებს. გამოიკითხა, თუ როგორ სრულდება კაპიტალურ დაბანდებათა გეგმები, რომლებიც გათვალისწინებულია სამხრეთ ოსეთის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

ავტონომიურ ოლქში მოგზაურობისას ამხანაგ ზ. ა. პატარიძეს ახლდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი.

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ავტონომიური ოლქის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, საქართველოს სსრ მშენებლობისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროთა წარმომადგენლები. თათბირზე გამოსვლისას ამხ. ზ. ა. პატარიძემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმას, თუ რაოდენ საჭიროა დარაზმონ მთელი ძალები, აამოქმედონ წარმოების რეზერვები, რათა ოლქის მშრომელებმა წარმატებით შეასრულონ მიმდინარე წლისა და მთლიანად მეათე ხუთწლედის დავალებანი, ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. (საკინფორმი).

„პარტიული სიტყვა“ № 14

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის“ მორიგი, მეთოთხმეტე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: საინფორმაციო ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ; საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1980 წლის 7 ივლისის დადგენილება საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი, XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ; საინფორმაციო ცნობა საქართველოს პარტიული აქტივის კრების შესახებ.

ამავე ნომერში გამოქვეყნებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე 1980 წლის 7 ივლისს— სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები მისი გადაწყვეტილებების, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში დასახული მითითებების შესრულებისა და პარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრის საქმეში.

რუბრიკით „წინსვლის გზა“ დაბეჭდილია ზ. ლოხოვას წერილი — სიკეთე სიკეთის წილ.

ანშლაგით „ცხოვრების მხარდამხარ. განვმარტოთ, შვილსწაელოთ ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი“ გამოქვეყნებულია წერილები: კ. დოლიძისა— სწორი ხელმძღვანელობაც, პირადი თაოსნობაც; ბ. გულიაშვილისა— თვითმმართველობა აქტიურობაში?!

სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1980 წლის პირველი ნახევრის შეჯამების შესახებ

(დასასრული)

საქართველოს საზღვაო სანაოსნო— ამიერკავკასიის რკინიგზა
სახმომარაგება — საქსახსოფლტექნიკა
სოფლის მეურნეობის სამინისტრო — საქსახსოფლტექნიკა
საქსახსოფლტექნიკა — დამზადების სამინისტრო

საქართველოს საზღვაო სანაოსნო
საქსახსოფლტექნიკა
სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საქსახსოფლტექნიკა

საავტომობილო გზათა სამინისტროსა და წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის სამინისტროს შეჯიბრებაში ვერც ერთმა სამინისტრომ ვერ გადმარჯვა იმის გამო, რომ ვერ შეასრულეს გეგმები და ვალდებულებები ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით; გამარჯვებული არ გამოვლენილა აგრეთვე „სამტრესტის“ გაერთიანებისა და „საქართველოს ჩაის“ გაერთიანების შეჯიბრებაში იმის გამო, რომ „საქართველოს ჩაის“ სერიოზული ნაკლოვანებანი ჰქონდა პროდუქციის ხარისხის მხრივ, ხოლო „სამტრესტის“ გაერთიანებაში ნაკლოვანებანი იყო მიწოდების მიხედვით პროდუქციის რეალიზაციის, ძირითადი ფონდების ამოქმედების, მოგების დავალებათა შესრულებაში.

ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების 1980 წლის პირველი ნახევრის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს:

ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:
აფხაზეთის ასსრ — აჭარის ასსრ	აჭარის ასსრ
აფხაზეთის ასსრ — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	აფხაზეთის ასსრ

ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:	ეჯიბრებიან:	გამარჯვებულნი:

ქალაქები:

ბათუმი — სოხუმი	სოხუმი	ჭიათურა — ტყიბული	ჭიათურა
ფოთი — ზუგდიდი	ზუგდიდი	ტყვარჩელი — ტყიბული	ტყვარჩელი
ქუთაისი — რუსთავი	ქუთაისი		

რაიონები:

გეგეჭკორის — ოჩამჩირის	გეგეჭკორის	თიანეთის — წალკის	წალკის
ჯავის — ონის	ონის	ჩოხატაურის — ლანჩხუთის	ჩოხატაურის
ასპინძის — შუახევის	შუახევის	ლენტეხის — ჩხოროწყუს	ჩხოროწყუს
მესტიის — ორჯონიკიძის	მესტიის	გურჯაანის — მარნეულის	მარნეულის
სამტრედიის — ხაშურის	სამტრედიის	თელავის — ზესტაფონის	თელავის
თეთრი წყაროს — კასპის	თეთრი წყაროს	ახალციხის — ქობულეთის	ქობულეთის
დმანისის — დუშეთის	დუშეთის	წალენჯიხის — ლაგოდეხის	ლაგოდეხის
ბორჯომის — ქალაქ		ადიგენის — ხულოს	ხულოს
წყალტუბოს ზონა	ბორჯომის	გულრიფშის — ქედის	გულრიფშის
ბოგდანოვკის — საგარეჯოს	საგარეჯოს	ქობულეთის — ქ. გაგრის ზონა	ქობულეთის
გალის — აბაშის	აბაშის	ვანის — ყვარლის	ყვარლის
ზუგდიდის — მახარაძის	მახარაძის	ცხინვალის — წულუკიძის	წულუკიძის
ყაზბეგის — ლენინგორის	ლენინგორის	ქ. თბილისის ლენინის რაიონი —	
ძცხეთის — ბოლნისის	მცხეთის	ქ. ქუთაისის ლენინის რაიონი	ქ. თბილისის ლენინის რაიონი
გარდაბნის — წითელწყაროს	წითელწყაროს		

აღინიშნა, რომ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ცალკეული ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით გეგმებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დადებითად იმუშავეს ქ. ფოთში, ზუგდიდის, გალის, ხაშურის, ბოგდანოვკის, ქედის, ახალციხის, ბოლნისის რაიონებში. ამბროლაურ-საჩხერის, გორ-ახალქალაქის, ხობ-სიღნაღის, ხობუმ-ხელვაჩაურის, ცაგერ-მაიაკოვსკის, თერჯოლა-ვანის რაიონების შეჯიბრებაში გამარჯვებული არ გამოვლენილა იმის გამო, რომ დასახლებულმა რაიონებმა ვერ შეასრულეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ცალკეული ძირითადი მაჩვენებლები.

აღინიშნა დადებითი მუშაობა, რომელიც გასწიეს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, რუსთავის, ტყიბულის, ჭიათურის, თელავის, ზესტაფონის, აბაშის, გალის, საჩხერის, ამბროლაურის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ქედის, გულრიფშის, თიანეთის, წალკის, ღუმეთის, დმანისისა და სხვა რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიებმა, აგრეთვე სამინისტროების და უწყებების კოლეგიებმა, პარტიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის დარგობრივმა კომისიებმა, დამზადების სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქსახსოფლტექნიკის გარდა.

ქალაქების გორისა და ცხინვალის, გუდაუთისა და ცხაკაიას, ყვარლისა და ახმეტის, ზნაურისა და ქარელის რაიონების მიმდინარე წლის პირველი ნახევრის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მასალები არ განხილულა და გამარჯვებული არ გამოვლენილა იმის გამო, რომ დასახელებული ქალაქებისა და რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა ვერ შეასრულეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებისა და რეკომენდაციების ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს შედეგების ერთობლივ შეჯამებას პარტიულ-სამეურნეო აქტივების კრებებზე, შრომითი მეტოქეობის გამარჯვებულის შესახებ საერთო წინასწარი აზრის გამომუშავებას და გაწეული მუშაობის თაობაზე ინფორმაციის წარდგენას სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიაში.

იმ მიზნით, რომ კვლავაც ამაღლდეს შეჯიბრებაში ჩაბმული ახლა რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქების, ქალაქებისა და რაიონების, სამინისტროებისა და უწყებების სოციალისტური შეჯიბრების ეფექტიანობა და აღმოიფხვრას ფორმალიზმის ჯერ კიდევ არსებული ელემენტები, სოციალისტური შეჯიბრებისა და მთლიანად მეურხეობრიობის კვარტალური, ნახევარწლიური და წლიური შედეგების შეჯამების დროს, საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიებს დაევალათ განუხრელად იხელმძღვანელონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი დადგენილებითა და სხვა იმ მითითებებით, რომელთა თანახმად რეგიონებში უნდა მიღწეულ იქნეს სამუშაო-რესპუბლიკურ დონეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 17 ძირითადი მაჩვენებლის შესრულებაში, ხოლო დარგებში — საშუალო საკავშირო დონეს, ერთად შეაჯამონ შეჯიბრების შედეგები, ამასთან აუცილებლად გაცვალონ რეგიონების, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა წარმომადგენლების დელეგაციები.

რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს წინადადება მიეცათ, უფრო ფართოდ გააშუქონ რეგიონების, სამინისტროებისა და უწყებების სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, ამხილონ ნაკლოვანებანი, რომლებსაც უშვებენ ამ ფორმის შრომითი მეტოქეობის შედეგების შეჯამების დროს.

✦✦

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ „სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პასუხად და წლის პირველ ნახევარში მეურნეობრიობის მიღწევების, ნაკლოვანებებისა და ხარვეზების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ყველა მშრომელი, შრომითი კოლექტივები, კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის აღსანიშნავად. (საქინფორმი).

თვალგასახარი ყანები



მწვანეშია ჩაფლული ვანის რაიონის სოფელი ტობანიერი. კოლმეურნეობამ ვადამდე უპატაკა სამშობლოს ხუთწლიანი გეგმის შესრულება ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

მაღალი მოსავლები დაისახეს კოლმეურნეობის მევენახეებმა. მათ გადაწყვიტეს წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ 180 ტონა ყურძენი, გეგმით გათვალისწინებულზე 60 ტონით მეტი. აქაურმა მესიმინდეებმა ვალდებულება იკისრეს თითოეულ ჰექტარზე 40-40 ცენტნერი მარცვალი მოიწიონ გეგმით გათვალისწინებული 27 ცენტნერის ნაცვლად.

თავდადებით შრომობენ მეურნეობის მეგოსტნეებიც, რომლებმაც გადაწყვიტეს სახელმწიფოს ჩაბარონ 1000 ტონა ბოსტნეული.

სურათებზე: მოწინავე ტრაქტორისტი კომუნისტი ზურაბ მინაშვილი; ვანის რაიონის სოფელ ტობანიერის კოლმეურნეობაში მიმდინარეობს სიმინდის მექანიზებული კულტივაცია.

გ. ბერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მოთავენი კომუნისტები არიან

პარტიის XXVI ყრილობის შესახვედრად

ყოველი ადამიანის თუ კოლექტივის ცხოვრებაში ხდება ხოლმე ისეთი მოვლენა, თავისი მნიშვნელობითა და ხასიათით სხვებისაგან განსაკუთრებით რომ გამოირჩევა. ჩვენი რაიონის მშრომელებისათვის, პარტორგანიზაციებისათვის, ისევე როგორც რესპუბლიკისა და საერთოდ მთელი საბჭოთების მშრომელთათვის, უთუოდ ასეთი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმი, რომელმაც მიიღო დადგენილება პარტიის მორიგი, XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ.

სწორედ ამ პლენუმის შემდეგ ჩვენს რაიონში განსაკუთრებული ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება კომუნისტთა მორიგი დიდი ფორუმის ღირსეული შეხვედრისათვის. შეჯიბრებაში ჩაბმულია 10 ათასზე მეტი კაცი, 45 შრომითი კოლექტივი, 200-ზე მეტი განყოფილება, ბრიგადა, საამქრო... მათი ენთუზიაზმი და შემართება უფრო გაზრდა ცხობამ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ.

როგორ გაისარჯნენ ხუთწლედის განვლილ პერიოდში ჩვენი რაიონის მშრომელები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის?

ჩხოროწყუს რაიონის მშრომელებმა ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს. ამ პერიოდში სახელმწიფოს მიეყიდა გაცილებით მეტი ჩაის ფოთოლი, ხილი, ყურძენი, მარცვლეული, ხორცი, რძე, კვერცხი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები, ვიდრე მთელ შეცხრე ხუთწლედში. ყოველივე ამის შედეგად საგრძნობლად განმტკიცდა საზოგადოებრივ მეურნეობათა ეკონომიკა. შარშან წარმოებულ იქნა 23 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ნაცვლად 1972 წლის 12 მილიონი მანეთისა, კოლმეურნეობათა წმინდა შემოსავალმა 3.474 ათას მანეთს მიაღწია, რაც 1975 წლის მაჩვენებელთან შედარებით 450 ათასი მანეთით მეტია. თუ 1975 წელს კოლმეურნეობებში კაცდღის ანაზღაურება 6 მანეთს არ აღემატებოდა, შარშან ეს მაჩვენებელი 8 მანეთი და 61 კაპიკი გახდა, ამავე პერიოდში კოლმეურნეთა საშუალო თვიური ხელფასი 79 მანეთიდან 156 მანეთამდე გაიზარდა, მრეწველობის მუშაკთა საშუალო თვიურმა ხელფასმა 160 მანეთი შეადგინა.

ყველაფერი ეს საბოლოო შედეგებია იმ საქმიანობისა, რომელსაც რაიონის შრომითი კოლექტივები პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობით ეწევიან წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის. და მნიშვნელოვანწილად სწორედ ამის შედეგიც არის, რომ ჩვენი რაიონი წლეულს ზედიზედ მესამედ დაჯილდოვდა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის გარდამავალი წითელი დროშით.

ცხადია, ყველა საქმეს თავისი მოთავე ჰყავს. ჩხოროწყუელთა სასახელო საქმეების სული და გული აქაური კომუნისტები არიან, რომელთა 72 პროცენტზე მეტი დასაქმებულია უშუალოდ მატერიალური დოვლათის წარმოების სფეროში. ისინი მოფიქრებულად არიან განაწილებული სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე. პარტიის რაიონული კომიტეტი თავის პლენუმზე, აქტივის კრებებსა და ბიუროს სხდომებზე რეგულარულად განიხილავს კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლების საკითხებს. ამას განსაკუთრებულ ყურადღებას იმიტომ ვანიჭებთ, რომ, უწინარეს ყოვლისა, სწორედ კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებამ მოგვაპოვებინა ის კარგი შედეგები, რომლებიც დღეს გვაქვს.

ამის საილუსტრაციოდ ავიღოთ თუნდაც რაიონის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი დარგი — მეჩაიეობა. თუ 1972 წელს რაიონში ჩაის საშუალო მოსავალი 4100 კილოგრამი იყო, შარშან 7500 კილოგრამს გადააჭარბა. ჩვენმა მეჩაიეებმა ჯერ კიდევ შარშან ივლისის თვეში უპატაკეს სამშობლოს ხუთწლიანი გეგმის შესრულება. და ყოველივე ამაში განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ პარტიულ ორგანიზაციებს, კომუნისტებს.

პარტიის რაიკომმა წლეულს თავიდანვე დაიჭირა თადარიგი მეურნეობის ყველა ფრონტზე. ამ ფრონტებზე ადგილებზე, ჩაის ფაბრიკებში მიხედვით, ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სისტემატურ დახვეწასთან ერთად პარტიის რაიკომი დიდ ყურადღებას აქცევს მატერიალური და მორალური წახალისების პროგრესული ფორმების დანერგვასაც.

სწორედ მატერიალური და მორალური სტიმულირების პროგრესული მეთოდების, აგრეთვე აბაშელთა გამოცდილების გაბედული დანერგვის შედეგიც არის, რომ ჩვენთან წლითიწლობით იზრდება მარცვლეულის წარმოება. რაიონის ისტორიაში პირველად 1977 წელს შესრულდა სიმინდის მარცვლის წარმოების გეგმა. ხოლო, თუ 1976 წელს საშუალოდ მიღებული იყო 16,6 ცენტნერი მოსავალი, შარშან მივიღეთ 33 ცენტნერი. მარცვლეულის წარმოებაშიც ტონს კომუნისტები იძლევიან. ჩვენმა მოწინავე მესიმინდე კომუნისტებმა ტ. ძერიამ, ე. ახალაიამ, ი. ნაჭყებიამ, ა. ხორავამ, შ. აფხაზავამ, დ. ზაქარაიამ, ი. შოგირაძემ და სხვებმა, რომლებიც ყრილობისწინა შეჯიბრების ავანგარდში დგანან, გადაწყვიტეს თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ 90-100 ცენტნერი სიმინდი მიიღონ. თაოსნებს მიმდევრებიც ბლომად გამოუჩნდნენ, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობენ პარტიის რაიკომის იმ პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, რომელზეც განვიხილეთ მარცვლეულის, სხვა ერთწლოვანი და ხაკვები კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობისათვის საკვების წარმოების შემდგომი გადიდების საქმეში რაიონის პარტიული ორგანიზაციისა. ამოცანები.

და რაკი სიტყვა მეცხოველეობაზე ჩამოვარდა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი რაიონის მშრომელებმა, რომლებიც მონდომებით იღვწიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII და XX პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, აქაც მოიპოვეს წარმატებები. რაიონი ზედიზედ მესამე წელია რესპუბლიკაში პირველი ასრულებს სენაჟის დამზადების გეგმა-ვალდებულებას. ტრადიცია არც წლეულს დარღვეულა — ჯერ კიდევ 1 ივნისისათვის გადაჭარბებით შესრულდა ეს სამუშაობა. სენაჟის დამზადება კვლავ წარმატებით გრძელდება, ასევე გადაჭარბებით შესრულდება სხვა სახის საკვების დამზადებაც. მკვიდრ ნიადაგზე დგას სანაშენო საქმე, საწარმოო პროცესების მექანიზაცია, დავამთავრეთ ფერმების რეკონსტრუქცია. მეცხოველეობის კომპლექსსა და ფერმებში გაუმჯობესდა ვეტერინარული მომსახურება...

ყოველივე ამას მოჰყვა მეცხოველეობის დარგის არსებითი გაუმჯობესება, პირუტყვის სულადობის ზრდა, წველადობისა და ხორცის წარმოების გადიდება. მარტო უკანასკნელ სამ წელიწადში საფუძარეკ ძროხის საშუალო წველადობა გაიზარდა 403 კილოგრამით, ხოლო მიმდინარე წლის ექვს თვეში ზრდადა 80 კილოგრამი შეადგინა. შარშან სახელმწიფოსათვის მიყიდული რძის 95 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო. ხორცის სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალება საზოგადოებრივ სექტორში 110 პროცენტით შესრულდა. ჩაბარებული პირუტყვის საშუალო წონამ 258 კილოგრამი შეადგინა. მათგან უმაღლესი ნასუქობისაა 30 პროცენტი. თავი გამოიჩინეს მეაბრეშუმეებმაც, რომლებსაც შესრულებული აქვთ როგორც წლევანდელი, ისე მთლიანად ხუთწლედის გეგმებიც.

სოფლის. მეურნეობის მშრომელებს არც მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის მუშაკები ჩაბარჩნენ. რაიონში 1972 წელთან შედარებით 2,2-ჯერ გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება. ამ ხნის განმავლობაში 4-ჯერ გაიზარდა სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა. წლეულს ამოქმედდა ახალი ჩაის ფაბრიკა. დღეისათვის ფართო მასშტაბით მიმდინარეობს საცხოვრებელი ბინების, სკოლების, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობა...

დიახ, ჩვენი რაიონის მშრომელებმა, რომლებიც პარტიული ორგანიზაციების თაოსნობით ხუთწლედის დასაწყისიდანვე შრომობდნენ დევიზით: ხუთწლედი — ოთხ წელიწადში, მართლაც შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს. და ეს, უწინარეს ყოვლისა, შესაძლებელი გახდა პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სრულყოფის, შრომის ორგანიზაციისა და სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის ამაღლების, დისციპლინის განმტკიცების, მინდობილი საქმისადმი კოლექტიური და პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლების და, განსაკუთრებით, კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების შედეგად. ყოველ ღონეს ვხმარობთ იმისათვის, რომ საკადრო პოლიტიკა წარმართოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის მოთხოვნათა მიხედვით, ეს კი მდგომარეობის გაუმჯობესების, წარჩინებული მუშაობის ერთ-ერთი საუკეთესო რეზერვია და ამაზე ჩვენი რაიონის მაგალითით ასეთი ფაქტიც მეტყველებს.

პარტიული ცხოვრება: რაიკომი და ეკონომიკა

სოფელ ზუმის კოლმეურნეობა „საქართველო“ რაიონში ერთ-ერთი ჩამორჩენილი იყო. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა შეისწავლა მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა და იქ თავისი ბიუროს გამსვლელი სხდომა მოაწყო, დაისახა მდგომარეობის გამოსწორების კონკრეტული ღონისძიებანი. შეიცვალა კოლმეურნეობის ხელმძღვანელობაც — თავმჯდომარედ გაგზავნა ამავე სოფლის მკვიდრი, კარგი სპეციალისტი და ორგანიზატორი ჯ. შოგირაძე. შედეგებმაც არ დააყოვნა — ერთი წლის მანძილზე ყველაზე ჩამორჩენილი კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგებში ჩადგა და პირველობას არავის უთმობს...

საერთო წარმატებები უთუოდ მეტი გვექნებოდა, ზოგიერთი ხელშემშლელი მიზეზი რომ არ გვაბრკოლებდეს. ავიღოთ თუნდაც ერთ-ერთი მათგანი; ცნობილია, რომ ადამიანს ნაყოფიერი შრომისათვის დასვენების, კარგი ბინის და კარგი სამედიცინო მომსახურების სათანადო პირობები სჭირდება. მაგრამ, აბა, მშრომელთა რომელ კარგ სამედიცინო მომსახურებაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ჯერ კიდევ 1977 წელს დაწყებული რაისაავადმყოფოს მშენებლობა დღესაც დაკოსერვებულია?! რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და მშენებლობის სამინისტროები კი, მრავალჯერ შეხსენების მიუხედავად, არავითარ ინტერესს არ იჩენენ ამ მშენებლობისადმი.

თ

თითოეულის პოვნიერება

პიროვნების კულტურა

განთქმულმა ხელოვანმა, ერ-
ომ ამათგანმა, ვინც ქართული
ოკრომწედლობის დიადი ხელოვნ-
ება ააღორძინა, ირაკლი ოჩიაუ-
ლმა მაგიდაზე თეთრი ქაღალდის
ფრაგნილი გამიშალა. ეს იყო ურ-
თულესი კომპოზიცია, სადაც ერ-
ძანეთის გადასვლობოდნენ ადამი-
ანთა ფიგურები და სტილიზებუ-
ლი ცხენები, ესოდენ ნაცნობი შე-
ნობების წინ რომ მიჭედრილნენ.
კომპოზიციის ცენტრში ბრწყინავ-
და ვეებერთელა მზე, რომელიც
ისეთი თვალისმომჭრელი იყო, გე-
ონებოდა ეს-ეს არის ჩამოასხესო
ბეკარვარებული სპილენძისაგან.

— მზე კი მართლაც სპილენ-
ძისაა, — მითხრა მხატვარმა და
ეიღიმა. — ეს ყველაზე დიდი ჭე-
დურობა იქნება იმათგან, რომლე-
ბიც ოდესმე გამიკეთებია. კიევის
ოროფკავშირთა სასახლისაა, შენი
ალაქის 1500 წლისთავისათვის.

მარტო იმიტომ კი არ ვხარობ-
ო, რომ დიდოსტატმა, მრავალი
ერმეინის ლაურეატმა ჩემი ქალაქი-
ათვის პანოს გამოჭედვა იკისრა.
ულს მითბობდა ირაკლი ოჩიაუ-
ის საქციელის სიწრფელეც, ნაწა-
ბმოეს, რომელსაც კიევი უნდა
ადმშენებინა, ხელოვანი ისეთი
ბრფესიული და პატრიოტული
ბნებით ეკიდებოდა, თითქოს
ომბობლური თბილისისთვის ამზა-
ებდსო. „კიევი ახლოელი და ძვი-
ფასია ჩემთვის. და ეს შეკვეთა
ედიდი პატივია. კარგად უნდა
ვაკეთო. სპილენძი ბევრი მჭი-
ოდა. სამუშაო დარბაზიც დიდი
ბინდა. თანაშემწეები მჭირდები-
ან“, — ითვლიდა ოჩიაური თით-
ებზე და ანგარიშობდა, რა დასჭი-
ოდება ესოდენ სპპატიო, სპრეს-
ეფო და ძნელი საქმისათვის.

ძალიან დავიღალეო, მეუბნებო-
და ოჩიაური, პირდაპირ ვერ წა-
ემიმდგენია, როგორ უნდა გამო-
ქვედოო ეს უზარმაზარი — ოცდა-
ოთმეტრიანი პანო. მაგრამ ყოვე-
ლივე ამან უკან დაიხია, როცა და-
ინახა, რომ საშუალება მიეცა ხო-
ეცი შეასხას თავის ძველ ოცნებას,
რომ შეუძლია მთელი თავისი ნიჭი
და ცოდნა, ოქრომჭედლობის მთე-
ბი აღორძინებული და ათვისებუ-
ი ტრადიცია — ქართული ტრა-
ბიცია მეორე ერს უძღვნას.

მაინცდამაინც ღრმად არ შემი-
ოპავს სამხატვრო სკოლებისა და
ასტრქების წიაღში, და გავიფიქრე,
ეგმეხხვევითი არ არის, რომ სამ-
ეფოო კულტურის საუკეთესო
ოსტატები მუდამ განუყოფელნი
ერიან არა მარტო მხატვრული
ბსტორიისაგან, არამედ საერთოდ
ადამიანთ ნაწარმოებთა საზოგად-
ოებრივი აზრისაგანაც. სხვაგვარად
ერ შეიძლება, ვინაიდან კულ-
ტურის მოღვაწის ღირსება მისი
ადმობლოს ღირსების ნაწილია.
ს ამაღლებული ტრადიციაა. ბე-
ერი ძველებური სახლი, საყდარი
და ციხე-სამყარე, რომლებიც წი-
ალთაგან შემოგვრჩა, საერთოდ
ასახელოა: შემოქმედნი იმდენად
ანიმუშვალნენ იდეით, რომლის
ულისთვისაც ამოპავდათ კედ-
ელი, რომ ხშირად ერიდებოდათ
ფიც თავიანთი სახელის დატო-
ება მასზე.

არ გეგონოთ, იმის თქმა მინდო-
ოს, თითქოს ჩვენ უფრო პატივ-
ეყვარენი ვიყოთ, ან ისე ღვიძ-
ოდეთ ვერ შევთვისებოდეთ შემოქ-
ედებას, როგორც ჩვენი წინაპრე-
ი. ყოველივე გაცილებით უფრო
ბოულია, მაგრამ ირონიას ვერ
ბმალავ, როცა ვუყურებ ცუდ
ურთებს, რომელთა ლამის მესა-
ედი ავტორის ხელმოწერას უკა-
ი; დამღალა იმ პოეტების ლექ-
ების კითხვამ, რომელებსაც ეუწო-
ერეს ყოველისა ამოძრავებთ
აკუთარი თავის სიყვარული, თა-
მოწონება და კოტტაობა, და არა
ყურვილი განსჯისა „დროებისა
და საკუთარი თავის შესახებ“ —
ოვდაბირველად კი მაინც „დრო-
ების შესახებ“, საქმე ეხება ღირ-
ებას. ხელოვნებასთან პროფესი-
ულად დაკავშირებული ადამიანის
ორმის არსს. ასეა თუ ისე, ყო-
ელივე, რასაც ჩვენ ავსახავთ, —
ს შემოქმედის პიროვნების პრი-
ზმაში გატარებული სამყაროა, გა-
ფარებული იმ „მეობაში“, რომე-
ლიც მოვლელა, სულ ცოტა, საინ-
ტერესო მაინც იყოს სხვებისათ-
ის, რომელებთანაც საერთო დრო-
ება და საზრუნავი გაერთიანებს.

ირაკლი ოჩიაურმა, ვგონებ,
ველა ყველაფერი შეისწავლა, რა-
აც რიმე დამოკიდებულება აქვს
ერევის ისტორიასთან, ყველაფერი
ოფიქრა. „ეს ხომ ძალზე საჭი-
ოა“, — ამბობს იგი, მე კი ვფი-
ობ, რომ ხელოვანის ღირსების
ნებაში მკვიდრად გაუდგამს ფე-
ი ასეთ სიტყვასაც: „საჭიროა“,
აცილებით უფრო დამაჯერებე-
ლია და ძლიერს, ვიდრე სევერია-
ინისეულ ჭირვეულ „მეასე მინ-
ას“. ჩვენს ქვეყანაში ხომ არსე-
ობს ახალგაჩენილი ცნება „სო-
იალური შეკვეთა“ — ის მომე-
ტი, როდესაც მხატვრის სულიერი მიზანსწრაფვა ემთხვევა საზო-
გადოებრივი განვითარების მიმა-
ართულებას. ბევრი წიგნი — ალ-
ბათ, გორკისა და მაიაკოვსკის,
ტიჩინასა და ლეონიძის, ტვარდო-
ვსკისა და სიმონოვის — და განა
მარტო მათი კითხვა — სწორედ
საზოგადოებრივი მოთხოვნილებ-
ით, სოციალური შეკვეთით არის
შთაგონებული. მაგრამ ისევ მარ-
ტო ხელოვნებზე როდი მოგახსე-
ნებთ.

პარტიის თერჯოლის რაიკომის
მდივანმა ანზორ ბურჯანაძემ,
ოცა ბაღ-ვენახებში ჩაფლული სო-
ფლის შარას მივუყვებოდით, მკი-
თხა: „იცი, რა შრომაა ეს? ყოვ-
ელი ვაზი შვილივით არის ნაზარ-
დი. მას დილიდან საღამომდე უნ-
და უაროო“.

ბაღები გავიარეთ და გავედით
იქ, სადაც ლამაზ სერს შეჰფენო-
და საუცხოო პიონერული ბანაკი
თავისი აუზით, სპორტული მოედ-
ნებით, კლუბით. თერჯოლის რაიო-
ნის უკლებლივ ყველა ბავშვს ზა-
ფხული შეუძლია თავის ბანაკში
გაატაროს. პიონერთა ქალაქს სამ
წელს აშენებდნენ, აშენებდნენ სა-
მარადისოდ. კოლმეურნეთა ყრი-
ლობებზე გამოყვეს საამისოდ სა-
ჭირო ძალები და სახსრები (ამას
უწოდებენ „სოციალურ შეკვეთას“
— თერჯოლში პიონერული
ქალაქის დაპროექტებასა და შექმ-
ნას).

„ადგილს კარგა დიდხანს ვარჩე-
ვდით, — განაგრძობდა რაიკომის
მდივანი. — ბანაკის ტერიტორია
ზონიანიც უნდა ყოფილიყო და
თვალწარმტაციც. მაგრამ ყველა
ასეთი ნაკვეთი უკვე ვენახებს
ჰქონდა დაკავებული. მაშინ ავდე-
ქი და მივედი ხალხთან, რომელ-
ი აი აქ ცხოვრობდა. სადაც ახ-
ლა ოთხი პიონერული კორპუსია.
ეს შთამომავლობთან მევენახეთა
ოთხი ოჯახი გახლდათ. ვინ მოაც-
ვლევინებს ფეხს გლეხკაცს ოდინ-
დელი ადგილიდან? მხოლოდ ბავ-
შვები! ვენახის პატრონებმა ყურად-
ღებით მომისმინეს, მე შემეძ-
ლო მხოლოდ მეთხოვა მათთვის,
ისინიც იმავე დღეს დამთანხმდ-
ნენ, რომ თავიანთ სახლებს სხვა-
გან გადაიტანდნენ. კოლმეურნე-
ობამ მათი დანმარება იკისრა, მა-
გრამ მთავარი, რამაც ძალზე გა-
მახარა, ის იყო, რომ ხალხი მზად
არის საერთო საქმისათვის მამაპა-
პეული მიწაც კი დათმოს. მაშასა-
დამე, ირწმუნეს, მაშასადამე, ვერ
წარმოუდგენიათ თავიანთი საკუ-
თარი მომავალი ცალკე იმ ხალხის
მომავლისაგან, რომლის ნაწილსაც
ეს ოთხი კომლი შეადგენს. იქნებ,
მეტისმეტად მაღალფარდოვნად
გამომდის, მაგრამ ეს არსებითად
მართლაც ასეა...“

მოგვიანებით, როცა ახალგახს-
ნილ რაიონულ ქორწინების სასახ-
ლეს ვათვალიერებდით, გავიგე,
რომ თურმე ისიც იმ ადგილზე
აუშენებიათ, სადაც თერჯოლის
ერთ-ერთ მკვიდრს უკვე დაეწყო
სახლის შენება. საძირკველი გა-
დაუტანთათ, ხოლო მოსახლეს,
რომელიც მყისვე დათანხმდა, თა-
ვისი საქციელი სრულიად ბუნებ-
რივად ჩაუთვლია. რა თქმა უნდა,
მან საერთო კეთილდღეობის გუ-
ლისათვის დათმო საკუთარი სარ-
გებლობა. ახალი სოფელი ყველა
დროისათვის შენდებოდა და სირ-
ცვილიც იყო ასეთ მშენებლობაზე
ფაცაფუცა მედროვე ყოფილიყო.
მე მითხრეს, თუ რომელმა თბილ-
ისელმა კომპოზიტორმა აჩუქა
თერჯოლის საბავშვო ოპერას თა-
ვისი მუსიკალური პიესები. დამა-
ვიწყდა თქვენთვის მეთქვა, რომ
რაიკენტრში ბავშვთა მუსიკალუ-
რი თეატრია შექმნილი და აქ ქუ-
თაისიდან ჩამოდიან დასახმარებ-
ლად რეჟისორები...

ყოველივე ეს ჩემი ამერიკელი
ნაცნობებისათვის რომ მეამბნა,
ბევრნი არ დამიჯერებდნენ, ზოგნი
კი ამას კომუნისტურ პროპაგანდ-
ად ჩამომართმევდნენ. და საქმე
ის კი არ არის, ჭკვიანნი და განა-
თლებულნი არიან თუ არა ჩემი
ოკეანისგაღმელი ნაცნობები. უბ-
რალოდ, ისინი მიჩვეული არ არ-
იან ასეთი კატეგორიებით აზროვ-
ნებას. თავის დროზე ამერიკის
შეერთებული შტატების უნივერ-
სიტეტების ბევრი სტუდენტი ვერ
დავაჯერე, რომ ჩვენი უმაღლესი
სასწავლებლის კურსდამთავრებუ-
ლი მყისვე იღებს სამუშაოს.

იმ სოფლის გლეხებს, სადაც
მამაჩემი დაიბადა, რევოლუციის
შემდეგ ვერა და ვერ დაეჯერებ-
ნათ, რომ სახელმწიფო მათ მიწას
მუქთად მისცემდა უსასყიდლო
სარგებლობისათვის. ცხოვრების
წესი კეთილშობილების წესსა და
ნტი, როდესაც ერ-
ნდობის წესს გულისხმობს. ყოვ-
ლად უღმერთო სოციალიზმის პი-
რობებში აღზრდილი ადამიანები,
ვინ მოთვლის, რამდენჯერ, გაცი-
ლებით უფრო კეთილნი აღმონჩ-
დებიან, ვიდრე ისინი, ვინც დღე-
დაღამ ქადაგებს ქრისტიანულ დო-
გმებს.

როცა ამერიკის ახლანდელმა
პრეზიდენტმა საჯაროდ წამოიძახა:
„ჩვენ საბჭოთა კავშირთან ძირე-
ული უთანხმოებები გვაქვს 1917
წლიდანო“ — მან ფრიად მკაფი-
ოდ გაუსვა ხაზი ეთიკური კონფ-
ლიქტის სოციალურობასაც. როცა,
მაგალითად, ფლორიდელ ზანგებ-
ზე მონადირეებს ადამიანის უფ-
ლებათა დამოღვეებად არ თვლი-
ან, როცა მთავრობის ტრიბუნიდან
იწყებენ ოცნებას იმაზე, როგორ
გაჟლიტონ მთელი ქვეყნები ბარ-
ალით თუ არა. შიმშილით მაინც,
— პრეზიდენტის ჰუმანიზმი და
რელიგიურობა ფრიად და ფრიად
ყალბად გამოიყურება.

...ყოველივე ეს სჯა-ბაასია ღირ-
სებაზე, ადამიანის პასუხისმგებ-
ლობაზე გარემო სამყაროსათვის.
ჩვენი უბრალო გლეხკაცები არა-
ერთგზის ალმოჩენილან უფრო პა-
სუხისმგებელი, მასშტაბური და
კეთილშობილი მოაზროვნენი, ვი-
ნემ ზოგიერთი დასავლელი პოლ-
იტიკოსი. ვინაიდან თვით ატმოს-
ფერო საზოგადოებისა, რომელ-
შიც გლეხები ცხოვრობენ, უფრო
ადამიანურად აყალიბებს მათს
სულს. „რაც არის არის, გავემგ-
ზავრები ერთი ამ ზაფხულს უკი-
დურეს ჩრდილოეთში, — მითხრა
ცხინვალმა კანადელმა მწერალმა
ფარლი მოუტმა.—უკვე რამდენ-
ნიმე ათეული წელია კანადელ ეს-
კიმოსებზე ვწერ, ყველაფერს ვა-
კეთებ, რაც კი რამ შემიძლია, რა-
თა ვიხსნა ისინი სრული განადგურ-
ებისაგან. ასეთია ჩვენი ცივილი-
ზაცია, რომელიც ყოველად დაუფა-
რავად აცხადებს გულგრილობას
მცირერიცხოვანი ერების ბედის
მიმართ...“

ჩვენ უკვე აღარ გვჩრიან ცხვი-
რში წრიანდელი რუსეთის უმეცა-
რებასა და უწიგნურობას... რამდენ-
ნიმე ათწლეულში საბჭოეთი ერთ-
ერთი უგანათლებულესი ქვეყანა
გახდა კაცობრიობის ისტორიაში.
უკვე აღარ ცდილობენ ეუბნებიან
ის როშვას ჩვენს თანამგზავრებსა
და ჩვენს ფოლადადრმა ღუმე-
ლებზე; ეს გუშინ და გუშინწინ
იყო, რომ დაგვჩხაოდნენ: თქვენი
თანამგზავრი ვერ სფრინდება,
თქვენი ღუმელი კი უეჭველად ჩა-
ქრებაო. და მაინც დასავლეთში
პოულობენ ჩვენი ქვეყნის გათა-
თხვის „საბაბს“.

ჰო, რა თქმა უნდა, ჩვენი მსუ-
ბუქი მრეწველობა ჯერ კიდევ ვერ
უშვებს ზოგიერთ ლაზათიან და
საჭირო ნივთს. მაგრამ, დარწმუნ-
ებული ვარ, დავიწყვით — ეს არც
ისე ძნელია, ზოგს რომ ჰგონია.
ყოველ შემთხვევაში ისიც რაღაც
ნიშნავს, რომ ამერიკელი სტუ-
დენტები იძულებული არიან სწავ-
ლის ქირად ყოველწლიურად იხა-
დონ თანხა, რომლითაც, მაგალით-
ად, უახლესი მოდელის „ჟიგ-
ულს“ იყიდდი. არ მინდა ვთქვა,
რომ ჩვენი ქვეყანა ყოველ თავის
სტუდენტს ყოველწლიურად სჩუ-
ქნის თითო ავტომობილს, მაგრამ,
კაცმა რომ თქვას...

უნდა ვიცოდეთ, რაზე ვოხრავთ.
არსებობს ადამიანური ღირებულ-
ებათა გარკვეული ტრადიცია; ისე-
თი ღირსებები, როგორიც კეთილ-
შობილება, სინდის-ნამუსი და პა-
ტიოსნებაა, — სულაც არ გახლ-
ავთ აბსტრაქცია. ყველაფერი კლა-
სიფიცირდება — სიმბოლოებიდ-
ან, იქიდან, თუ როგორ გამოიყურ-
ება სავსებით კონკრეტული საქ-
ციელი და საგნები; იქამდეც კი,
თუ სად რა ხდება. მე მინახავს
ნეოფაშისტთა დემონსტრაციები
ჩიკაგოსა და ვაშინგტონში. მინახ-
ავს სვასტიკა, ვიღაცას ლონდონ-
ში, კარლ მარქსის საფლავის ძეგ-
ლზე რომ მიუთხაპნია. როცა ქვე-
ყანაში ბევრს ლაპარაკობენ თავი-
ანთ განსაკუთრებულობაზე, რაღა
თქმა უნდა, ეს გონების საღათას
ძილს ნიშნავს. გახსოვთ ფრანსის-
კო გოიას გენიალური გრავიურა
„გონების ძილი ურჩხულებს
შობს“.?

ისევ ვიხსენებ საქართველოს და
ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი
ფერმწერის ლადო გუდიაშვილს,
სსრ კავშირის სახალხო მხატვრის,
სოციალისტური შრომის გმირის,
ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენგან წა-
სული დიდოსტატის სახელოსნოს.
სახელოსნოს ერთ-ერთ კედელზე
ჰკიდია ნახატი, რომელიც სტალი-
სტურად გოიას ნამუშევრებს წაა-
გავს, — საზარელი ურჩხულები
ყოველი იღებენ ადამიანის თავიდ-
ან ტვინს. „რაზეა ეს?“ — ვკით-
ხე მე. „იმაზე; რომ გონებისა და
ღირსების დაკარგვა ერთმანეთთან
არის დაკავშირებული და ერთნა-
რად დამღუპველია. კაცი, რომე-
ლიც თავს გაისულელებს, ბოროტ-
ი და ულირსი ხდება...“. თავად
გუდიაშვილი საოცრად მთლიანი
ხატურის მხატვარი იყო. როგორც
უნდა გასჭირვებოდა ცხოვრებაში,
თავის ნებისმიერ ნაწარმოებში
განსაზღვრული ჰქონდა ყველა ან-
ტიპათთა თუ სიმპათია. ადამიანი
მოვალეა სიკეთე თესოს — ეს
არის თითოეული ჩვენგანის სიცო-
ცხლის აზრი, მიუხედავად იმისა
ყურძენი მოგვყავს თუ პური,
ქარხანაში ვმუშაობთ თუ სურთ-
ებს ვხატავთ და წიგნებს ვწერთ.

ჩემში მუდამ ზიზღს“ იწვევდა
იმათი უბადრუკი ბედნიერება,
ვინც სიცოცხლის აზრად რაცხს
იმას, რომ ჩაიცვას შარვალი, რო-
მელსაც უკან რაც შეიძლება საზ-
ღვარგარეთული დროშა აქვს მიტ-
ყეპებული; იმ მხატვრისა თუ პო-
ეტის ბედნიერება, რომელიც ესწ-
რაფვის ნებისმიერ ხოტბას, მეტ-
ადრე თუ საქებარი სიტყვები უცხ-
ოური აქცენტითაა წარმოთქმული,
და ამასთანავე არარად რომ
ადდებს იმათ აზრს, ვინც მას სი-
ცოცხლე აჩუქა. სიცოცხლე, მეტ-
ყველება და მიწა, რომელზეც
ასე უყვარს სიარული; იმ მოხე-
ლეთა ბედნიერება, თავიანთ ავ-
ტორიტეტს გარეშემო მყოფთა
დამცირებით რომ ამკვიდრებენ.
ღირსების დაკარგვის ფორმები
მრავალია, ღირსეული ცხოვრე-
ბის ფორმა კი ერთადერთია. და
გაუთავებელი ლაპარაკი საკუთარ
უპირატესობაზე სხვებთან შედარ-
ებით წაადგავს თავის დამცირებას
საზღვარგარეთული შეფასებისა და
ძონების წინაშე — ყოველივე. ეს
ორი მხარეა ერთი და იგივე მედ-
ლისა და მისი თავიდათავიანი საკ-
უთარი ძალებისადმი ურწმუნობა,
უმამრისობის კომპლექსი.

უნდა სიკეთე თესო — ეს ხომ
ძალზე მარტივი ფორმულაა. იაკ-
ობ ვასაძემ, აბაშელმა მეღორემ,
როცა თავის მეურნეობას მათვა-
ლიერებინებდა მითხრა: „ხედ-
ავთ ჩვენს ქალაქს, მისი ცენტრი
გუშინდელ ჭაობზეა აშენებული.
ეს ყველაზე ღატაკი რაიონი იყო
და ადამიანმა იმის მეოხებით გა-
დააქცია იგი ესოდენ დოვლათია-
ნად, რომ ირწმუნა თავისი შრომა,
ირწმუნა, რომ ქვეყანა ყველაფერს
ღონობს, რათა შუშა კაცი უკეთ
ცხოვრობდეს. მე თვრამეტ წელი-
წადს უკრაინაში ვცხოვრობდი. იქ
დავცოლშვილდი, იქ ვისწავლე მე-
ღორეობის კომპლექსებში შრომა.
როცა ჩემი გამოცდილება აბაშელ-
ებს დასჭირდათ, უკრაინელმა ამ-
ხანაგებმა სიამოვნებით გამომაც-
ილეს. ვერც ერთი ჩვენგანი ვერ
იქნება იღბლიანი და ბედნიერი
მარტო საკუთარი თავისათვის. თუ
შენ მარტო არა ხარ, ხოლო შენი
სიცოცხლე და შენი უნარი ადამი-
ანთათვის სიკეთის ქმნას უწყობს
ხელს, — რა შეიძლება იყოს ამაზე
უფრო ღირსეული და ამაღლებ-
ული?“.

მე უკვე ვწერდი, რომ ზოგიერ-
თი მეღორე გაცილებით უფრო
ღრმად, ღირსეულად და ჰუმანურ-
ად აზროვნებს, ვიდრე ბევრი
აგრესიული პარლამენტარი, რო-
მლებსაც დავიწყებიანთ საკუთარი
ადგილიც და თავიანთი ქვეყნის
ადგილიც კაცობრიობის ისტორია-
ში. პლანეტაზე მცხოვრებ ადამი-
ანს ხომ ჯერ კიდევ ბევრი ბედ-
ნიერება სჭირდება; ჯოჯოხეთი და
სამოთხე მარტოოდენ რელიგიურ
ადამიანთა წარმოდგენაში როდი
მეზობლობენ; ასეა ჩვენს რეალურ
დედამიწაზეც.

სახლის ამშენებელი კაცი ხალხს
გაცილებით უფრო კეთილშობილ-
ად დაახსოვდება, ვიდრე ქალაქის
გადამბუგავი. მე არც ერთ ხალხს
არ ვუსურვებ ომის ხანძარს; საბ-
ჭოთა სახელმწიფოს ღირსება, თი-
თოეული ჩვენი ხალხის ბედი სწო-
რედ ის არის, რომ მშვიდობაზე
ვოცნებობთ და მშვიდობისათვის
ვსულდგმულობთ. გახსოვთ, ლეო-
ნიდ ილიას ძე ბრეჟნევმა რომ
ბრძანა სკკპ ცენტრალური კომი-
ტეტის ამასწინანდელ პლენუმზე:
„ჩვენ კვლავაც არ დავიშურებთ
ძალ-ღონეს, ოღონდ შევინარჩუნ-
ოთ დაძაბულობის შენელება, ყო-
ველივე ის სასიკეთო, რაც 70-იან-
მა წლებმა მოგვცა, მივაღწიოთ გა-
ნიარაღებისაკენ შემობრუნებას,
მხარი დავუჭიროთ ხალხთა თავი-
სუფალი და დამოუკიდებელი განვ-
ითარების უფლებას, შევინარჩუ-
ნოთ და დავამკვიდროთ მშვიდობ-
ა“. განა შეიძლება იყოს ამაზე
უფრო ღირსეული მიზანი და
უფრო ღირსეული ცხოვრება?

ვიტალი კოროტიჩი,
„პრავდა“, 1980 წლის 18 აგ-
ვისტო.

საერთაშორისო ცხოვრება
ლონდონის ფურცლიდან

გ. ჰოლის პრესკონფერენცია

ვაშინგტონი, 19 აგვისტო. ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე კომპარტიის კანდიდატმა გეს ჰოლმა მკაცრად გააკრიტიკა ომის ფსიქოზის გამწვავების, პენტაგონის ბიუჯეტის გაზრდის, გამალებული შეიარაღების დაჩქარების პოლიტიკა, რომელსაც კარტერის ადმინისტრაცია ახორციელებს. ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქის პრესის ეროვნულ კლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული ეგრეთ წოდებული ახალი ბირთვული სტრატეგია, რომელიც აისახა № 59 დირექტივაში, ბირთვული უგუნურებაა, რომელიც არსებითად პირველი დარტყმის სტრატეგიას წარმოადგენს.

ამ საშიშ პოლიტიკას, თქვა შემდეგ კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, ადგას კაცი, რომელიც 1976 წელს გვპირდებოდა, რომ შეამცირებდა სამხედრო ბიუჯეტს, მაგრამ წინა კვირაში იკვეხნიდა მის გაზრდას.

ორივე ბურჟუაზიული პარტიის კანდიდატები, ისევე როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი, თქვა შემდეგ გ. ჰოლმა, ფიქტობრივად ქადაგებენ „კარაქის ნაცვლად ზარბაზნების“ პოლიტიკას.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია და მისი კანდიდატები, განაცხადა გ. ჰოლმა, საარჩევნო კამპანიის დროს სახავენ კონკრეტულ წინადადებებს, რომლებიც ამერიკელი ხალხის გადაუდებელ საჭიროებებს შეესაბამება.

უნდა დავუბრუნდეთ დაძაბულობის შენელების პოლიტიკას, მოვაწესრიგოთ ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, შეეწყვეტოთ სსრ კავშირის, კუბისა და ვიეტნამის დისკრიმინაცია ვაჭრობის დარგში, დავამტკიცოთ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულება და დავიწყოთ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკების შემდგომი სტადია. ჩვენ უნდა შევუდგეთ სერიოზულ მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირთან შეიარაღების შემცირების, ჯარების ურთიერთშემცირების, სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის შესახებ.

პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე კომუნისტთა კანდიდატებს განზრახული აქვთ საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში ფართოდ განიხილონ ყველა ეს საკითხი, განაცხადა კომპარტიის გენერალურმა მდივანმა.

ხელყოფენ პანამის სუვერენიტეტს

პანამა, 19 აგვისტო. პანამის პრეზიდენტმა არისტიდეს როიომ პროტესტი განაცხადა, იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა გადაწყვიტა პანამის არხი შეერთებული შტატების ტერიტორიულ წყლებად მიიჩნიოს. ეს გადაწყვეტილება, რომლის მიზანია პანამის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ძირის გამოთხრა, მოიწონა პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა.

პანამის ხელმძღვანელობის აზრით, ნათქვამია ა. როიოს განცხადებაში, ამერიკის მხარის ასეთი ღონისძიებანი ეწინააღმდეგება ახალ ხელშეკრულებებს პანამის არხის შესახებ, რომლებიც ძალაში შევიდა მარშან ოქტომბერში და ითვალისწინებს პანამის იურისდიქციას დაექვემდებაროს შეერთებული შტატების მიერ 1903 წლიდან ოკუპირებული ეგრეთ წოდებული „არხის ზონა“.

აღნიშნულ პრესა ამერიკის კონგრესის გადაწყვეტილებას „შინგტონის „სტრიოზულ აგრესიას“ პანამის წინააღმდეგ, ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფას უწოდებს.

ᲛᲝᲙᲚᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

19 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

● **სოფია.** გ. დიმიტროვის სახელობის სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის კომბინატში დაიწყო ახალი კომბაინის — კსტ-50-ის სერიული წარმოება. ეს კომბაინი მთიან და მთიხწინა რაიონებში სამუშაოდ არის განკუთვნილი. მანქანას შეუძლია სიმინდისა და ბალახოვანი კულტურების აღება.

● **ბონი.** როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო იუწყება, ბოლო 6 თვის განმავლობაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო ხაზინის შემოსავალი 15,8 პროცენტით გაიზარდა მუშამოსამსახურეთა ხელფასზე დაწესებული გადასახადების ხარჯზე.

● **კუვეიტი.** არაბთა გაერთიანებულმა საამირომმა ოფიციალურად დაუჭირეს მხარი საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრე უფლისწულს ფაჰდის მოწოდებას ხალვათი ომი გამოუცხადონ ისრაელს იმის პასუხად, რომ ისრაელის პარლამენტმა გადაწყვიტა მოახდინოს იერუსალიმის აღმოსავლეთი (არაბული) ნაწილის ანექსია და გამოაცხადოს ეს ქალაქი ისრაელის „მარადიულ და განუყოფელ“ დედაქალაქად.

● **ტოკიო.** იაპონიის ტრანსპორტის მინისტრმა მ. სიოკავამ, რომელმაც კვირას მოახსენება გააკეთა ქალაქ ფუკუოკაში, განაცხადა, მომავალ საფინანსო წელს სახელმწიფო რკინიგზით მგზავრობის ფასი ქვლავ დაახლოებით 9 პროცენტით გაიზრდებაო.

საკლასისა და ახალი ბრეჟნევის საკონგრესოს კორესპონდენტები გვაგზავნიან

ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲯᲐᲕᲐ. 19 აგვისტო, ბოლივიელი მეამბოხეები, რომლებმაც ერთი თვის წინათ თავიანთი სამხედრო გადატრიალებით შეწყვიტეს ქვეყნის დემოკრატიული განვითარება, განაგრძობენ რეპრესიებს პროგრესული პოლიტიკური, პროფკავშირული ხელმძღვანელებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ. როგორც პრესა ლატინას საინფორმაციო სააგენტო იუწყება, კიდევ 37 პოლიტიკური ტუსაღი შეყარეს ჩრდილო-დასავლეთ ბოლივიის საკონცენტრაციო ბანაკ „ინოსპიტაში“. პატიმართა უმრავლესობას ჟურნალისტები და ადვოკატები შეადგენენ. საკონცენტრაციო ბანაკის ტუსაღია ჯგრეთვე ბოლივიის კომპარტიის ცენტრალური ორგანოს — გაზეთ „უნიდადის“ მთავარი რედაქტორი კარლოს სორია.

პრესსა ლატინას ცნობით, ბოლივიაში მმართავენ ორი ფორმის ტერორს: პატიმართა წამებას საპყრობილის დილეგებში და რეკიმის მოწინააღმდეგეთა აშკარა მასობრივ დაპატიმრებას. როგორც პერუს პრესას განუცხადა ჰოლანდიელმა ჟურნალისტმა ხან შმეიტცმა, რომელმაც რამდენიმე დღე გაატარა ბოლივიის საპატიმროში, ხუნტის საიდუმლო პოლიცია მკაცრ სანქციებს მიმართავს იმ ადგილობრივი და უცხოელი კორესპონდენტების წინააღმდეგ, რომლებიც ბედავენ სიმართლე თქვან ბოლივიის ამბებზე.

სამხედრო ხელისუფლებამ, თქვა ხ. შმეიტცმა, მიიღეს ეგრეთ წოდებული „ბეჭდვითი სიტყვის კანონი“, რომელიც თვალისწინებს 10-დან 15 წლამდე პატიმრობას იმ ჟურნალისტებისათვის, რომელთა ცნობები არ ემთხვევა „ხუნტის“ ოფიციალურ თვალსაზრისს“.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ განმარტავს ბოლივიის ამბებს და წერს, რომ „უბედური ბოლივია ხელში ჩაუვარდა ხუნტას, რომელსაც უმჭიდროესი კავშირი აქვს დამყარებული ნარკოტიკების საერთაშორისო ვაჭრობასთან“.

ᲡᲔᲡᲘᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ

ᲨᲔᲜᲔᲕᲐ, 19 აგვისტო. ევროპის ერების სასახლეში გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის ერთ-ერთი ორგანოს— დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიის სესია. ქვეკომისიის შემადგენლობაში სხვადასხვა ქვეყნის 26 ექსპერტი, მათ შორის სსრ კავშირის წარმომადგენელი.

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ. ფინეთის სტატისტიკური სამმართველოს ცნობით, ამ ქვეყნის დედაქალაქის მოსახლეობამ 1980 წლის დამდეგისათვის 488 ათას 675-ს მიაღწია.

ᲒᲐᲡᲣᲚ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ

ᲒᲐᲡᲣᲚ პარასკევს „მედიაონ სკვერ გარდენში“ დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების საარჩევნო კამპანიის პირველი ეტაპი. მარათონს შემორჩა ორი კანდიდატი და წინ არის ფინიში. თუ ორიოდე დღის წინ აქ მიმომხილველები კანდიდატობის პრეტენდენტთა შანსების ანალიზით იყვნენ გართული, ახლა უკვე საერთო ყურადღება მხოლოდ ორ პიროვნებაზეა—რონალდ რეიგანზე და ჯეიმს ერლ კარტერზეა კონცენტრირებული. ისევე როგორც დეტროიტში, სენსაცია არც ნიუ-იორკში მომხდარა. ე. კენედი, სულ ცოტა კიდევ ოთხი წლითა გამოეთხოვა პრეზიდენტობაზე ოცნებას, ხოლო ჯ. კარტერს წინ ელის უაღრესად რთული და არც მაინცდამაინც პერსპექტიული კამპანია.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის უკანასკნელი მონაცემები ხომ პირდაპირ სკანდალურია: ტელეკომპანია ეი-ბი-სისა და ლ. ჰარისის სამსახურის მონაცემებით, გამოკითხულ ამომრჩეველთა 77 პროცენტი უარყოფითად აფასებს კარტერის პრეზიდენტობას და მხოლოდ 22 პროცენტი იწონებს. ათე

გულრიფში დღეს

აფხაზეთის და, კერძოდ, გულრიფშს სამართლიანად უწოდებენ ბუნების წალკოტს. ყველაფერი იზიდავს აქ ადამიანს, განსაკუთრებით კი ზღვა და მისი სანაპირო. რაიონში ბევრგან შეხვდებით პიონერთა ბანაკებსა და ბავშვთა გამაჯანსაღებელ მოედნებს, ერთ-ერთი მათგანია გულრიფშის ილიჩის სახელობის მეცხრამეტე საბჭოთა მეურნეობის ბავშვთა გამაჯანსაღებელი მოედანი. წელს იგი კვლავ ძველ ადგილას, ზღვის სანაპიროზე გაიხსნა, სადაც ამჟამად მეურნეობის მუშამოსამსახურეთა ბავშვები ისვენებენ.

ჩვენი პატარეგისათვის

ამ რამდენიმე წლის წინათ თითზე ჩამოსათვლელი სბავშვო ბაგა იყო გულრიფშში, ამჟამად მათმა რიცხვმა ვეოცს მიაღწია. ამ დღეებში ბაბუშერის ეთერზეთოვანთა საბჭოთა მეურნეობა-ქარხანასთან ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა. პატარებისათვის აქ ყველა პირობაა შექმნილი — ნათელი საძინებელი და და გასართობი ოთახები, კეთილმოწყობილი სასადილო, უამრავი ნაირფერი სათამაშო.

შენდება... მშენდება

რაც დრო გადის, უფრო კეთილმოწყობილი ხდება მაღალმთიანი სოფელი ამტყელი. სოფლის შუაგულში დგას რვაწლიანი სკოლის შენობა. გახსნილია ახალი მაღაზია, რომელსაც აქვს სამრეწველო საქონლისა და სურსათ-სანოვაგის განყოფილებები.

დიდი ხანი არ არის, რაც აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა მუშათა სასადილო, აქვე მუშაობს საპარიკმახერო, ფოსტა-ტელეგრაფი.

მდინარე ჯამპალზე შენდება კაპიტალური ხიდი, რომლის დამთავრების შემდეგ ამტყელის ცენტრს რამდენიმე სოფელი უმოკლესი გზით დაუკავშირდება.

ყველა ამ საქმის მოთავეა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჯოვან მარქარიანი და ამტყელის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამირან ჭიჭინაძე. მათი უშუალო ხელმძღვანელობით სოფლის ცენტრალურ გზაზე დარგულია ასობით ძირი მარადმწვანე ხე და ბუჩქი, შესრულდა კეთილმოწყობის სამუშაოები.

სცენაზეა ესტრადა.

სომხეთის რესპუბლიკაში დამსახურებული ავტორიტეტითა და პოპულარობით სარგებლობს ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ერებუნი“. ანსამბლი, რომლის ხელმძღვანელია სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი ე. კარაპეტიანი, ბევრს მოგზაურობს მოძმე რესპუბლიკებში.

ამ დღეებში „ერებუნი“ გულრიფშის რაიონსაც ესტუმრა. გულრიფშელი მაყურებელი გულთბილად შეხვდა სომხური საესტრადო ხელოვნების ოსტატებს. დიდი წარმატებით ჩაიარა სტუმრების კონცერტმა კულტურის რაიონული სახლისა და ფშაფის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კულტურის სახლში.

გ. რამიშვილი,
დ. დადიანი,

გულრიფშის რაიონული გაზეთის „დროშის“ რედაქციის თანამშრომლები.

სურათებზე: კურორტ გულრიფშის ერთ-ერთი კუთხე. ლენინის სახელობის სანატორიუმის კორპუსების ხედი.
ი. მოხონელიძის ფოტო, (საქინფორმის ფოტოკრონიკა).

მშობლები და შვილები

პედაგოგი წინადადებას აყენებს

პრესისა და ინფორმაციის საშუალებებით ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ბავშვის აღზრდაში, ყმაწვილის სულიერ და ზნეობრივ ჩამოყალიბებაში მთავარი როლი განეკუთვნება ოჯახს, რომ ძირითადად ოჯახია პასუხისმგებელი, რათა დღევანდელი პატარა მოქალაქე რამდენიმე წლის განმავლობაში, თანდათანობით, კეთილსასურველი ცვლილებების გზით თანამედროვე საზოგადოების სრულფასოვან წევრად გადაიქცეს. არც იმას უარყოფს ვინმე, რომ დღევანდელი ოჯახების საკმაოდ დიდი ნაწილი ამ მხრივ მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგას, ვერ უზრუნველყოფს ბავშვის ზრდა-განვითარებისადმი სწორ ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას, არ ძალუძს, მოაქციოს ეს განვითარება სათანადო მორალურ და ესთეტიკურ ჩარჩოებში, რათა ყმაწვილი წლების მანძილზე ღირსეულ ადამიანად და ქვეყნის ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბდეს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ შეუღლებულ წყვილთა დიდი უმრავლესობა არ არის მომზადებული მშობლის სოციალური ფუნქციის შესასრულებლად, შვილების აღსაზრდელად. და ეს მოუმზადებლობა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ნაადრევი ქორწინების შემთხვევებში, როდესაც შეუღლებული წყვილები საერთოდ სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტითაც მოუმწიფებელი არიან ოჯახური ცხოვრების დაწყებისათვის. ასეთ წყვილებს რა უნდა მოსთხოვო მშობლის მოვალეობისა და პასუხისმგებლობის თაობაზე, როცა უმრავეულო თანაცხოვრებასაც ვერ ახერხებენ, როცა მათ ჯერ კიდევ ბევრი აკლიათ მოქალაქეობრივ მომწიფებამდე, დავუკაცებამდე და დაქალებამდე. ასეთი ნაადრევი ქორწინებიც სწორედ მცდარი აღზრდის შედეგია; მართლაც რომ, კარგი მშობლობა ვერ გაუწია მათ დედ-მამამ, სწორი მმართველებით ვერ წარმართა მათი ინტერესები და მიდრეკილებანი.

რაც მთავარია, მშობლის ფუნქციის შესრულებისათვის მოუმზადებლობის სავალალო შედეგი ის არის, რომ ოჯახი ვერ ზრდის შვილებს ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად და სამშობლოს პატრიოტებად, უფრო მეტიც, აღზრდის მცდარი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენების შედეგად ისინი ზნეობრივი გადაგვარების გზასაც ადგებიან და თანდათანობით საზოგადოებისათვის მავნე, საშიშ ელემენტებად იქცევიან. ზოგჯერ შვილების გაუკეთებლობის, მართების მიზეზი ის გახლავთ, რომ მშობლებს აკლიათ ტაქტი და ზომიერების გრძნობა, არ იციან შვილებისადმი დამოკიდებულების ელემენტარული წესები, არ იციან, როგორ იმოქმედონ ამა თუ იმ სიტუაციაში. განა საქმეს შვილის ასეთი მშობლების განცხადება, რომელ მშობელს უნდა თავისი შვილისათვის ცუდი?

ზოგიერთი მშობელი თავის მოვალეობას მხოლოდ იმაში ხედავს, რომ შვილებს მატერიალურად არაფერი მოაკლოს, გაზარდოს ისინი ფიზიკურად უნაკლო და ჯანსაღი. მათი სულისა და გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, მათი ადამიანურობისათვის ზრუნვას კი ეს მშობლები მარტო სკოლას აკისრებენ — ეს ხომ სკოლისა და მასწავლებლების საქმეაო. არიან ისეთი მშობლებიც, რომლებიც ინსტინქტს აყოლილნი, ყველაფერს უთმობენ შვილებს, ანებივრებენ, თავს �lebian მათ და, რაღა თქმა უნდა, ხშირად ასეთი შვილები ან საზოგადოებისათვის, მავნე ხორცშეტები ხდებიან, ან, ყოველ შემთხვევაში, ქვეყნისთვის და თავისთვისაც უუნარო, უსარგებლო ადამიანები გამოდიან. სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ შეუღლებულ წყვილებს სათანადო პედაგოგიური განათლება და მომზადება ჰქონდეთ „მოღვაწეობისათვის“. ბმობელთა პედაგოგიზაციის არსებული ფორმები (მშობელთა უნივერსიტეტები, ლექტორიუმები და სხვა) ზოგჯერ უძლურია ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის, ვინაიდან ეს ფორმები ითვალისწინებს ახალგაზრდა მშობელთა ნებაყოფლობითს ჩაბმას პედაგოგიური განათლების მისაღებად. რატომ პრაქტიკულად არ უნდა დაინერგოს პრესაში აქა-იქ გამოქვეყნებული წინადადებანი, რომ მიზანშეწონილია, თუ ყველა რაიონულ ცენტრში არა, დიდ ქალაქებში მაინც შეიქმნას ახალშეუღლებულთათვის ეგრეთ წოდებული საკალდებულო პედაგოგიური კურსები ჩათვლების გარკვეული სისტემით — ერთთვიანი, წარმოებას მოწყვეტით, ხოლო სამთვიანი — წარმოებას მოუწყვეტლივ, რომ ყველა მშობელმა შეიძინოს პედაგოგიური ცოდნა აუცილებელი მინიმუმი. შეიძლებოდა სხვა საშუალებების გამოყენებაც.

ამ კურსებზე ლექციებს წაიკითხავენ გამოცდილი პედაგოგები, რომლებიც სერმნარულ მეცადინეობასაც გაუძღვებიან და სათანადო ჩათვლებსაც მიიღებენ. ბოლოს მოეწყობა ამ კურსების გამოშვების საზეიმო ცერემონიალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ოჯახიანი მეცხენირები, მწერლები, ქვეყნის სახელოვანი ადამიანები, ბავშვები ის სახელოვანი მოვალეობანი დედები, რომლებმაც „ბრალ“ ეფლები აღუზარდეს სამშობლოს. ისინი შთამაგონებელი სიტყვებით მიმართავენ გამოშვების მონაწილეს ახალგაზრდა მშობლებს ერისა და ქვეყნის წინაშე მათი საპატიო მისიისა და დიდი მოვალეობის შესახებ. ამ გამოშვების საზეიმო ცერემონიალში აქტიური მონაწილეობით ისინი კიდევ უფრო განამტკიცებენ ახალშეუღლებულთა რწმენას, რომ სამშობლოსათვის ღირსეული შვილების აღზრდა მათი მოქალაქეობრივი, კონსტიტუციური მოვალეობაა, და ყველაფერი უნდა იღონონ ამ მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის. ასეთი კურსების შექმნა ფრიად სასარგებლო და ეფექტიანი იქნებოდა ჩვენი საზოგადოებისათვის. შეიძლებოდა დაგეგმწესებინა ამ კურსების საკალდებულო პერიოდულობაც, რომ, მაგალითად, ყველა მშობელს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ აუცილებლად გაევლო. რატომ არ ვახორციელებთ პრაქტიკულად ამ ღონისძიებას? რად უნდა მტკიცება იმას, რომ ამ ღონისძიების განსახორციელებლად საბჭოთა სახელმწიფოს გარჯა ასკეცად ანაზღაურდება, რომ ქვეყანას და საზოგადოებას დიდ სარგებლობას მოგუტანთ, თუკი ნორჩი თაობის აღზრდას მკვიდრ საფუძველზე დავაყენებთ. შეიძლებოდა ამ კურსების მოწყობა სამეურნეო ანგარიშზეც იმ დაწესებულებათა ხარჯზე, სადაც ახალშეუღლებულნი მუშაობენ, ან უშუალოდ პირადი გადახდევინების საფუძველზე. ეს რომ, გზები და შეთოდები ბევრია; მთავარია მხოლოდ იმათი დაინტერესება, ვინც ჩვენი კონსტიტუციის მიხედვით ვალდებულია იზრუნოს ამაზე. სწორედ კონსტიტუცია მოითხოვს მათგან, საზოგადოების ყოველი წევრისაგან, მოზარდი თაობის აღზრდისათვის შეუნელებელ ზრუნვას.

უფუოდ კარგი იქნებოდა უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ყველა სპეციალობის პირველ ან მეორე კურსზე პედაგოგიური განათლების აუცილებელი მინიმუმის საკალდებულო კურსის შემოღება. ამით თითოეულ სტუდენტს მოვამზადებდით. მომავალი მშობლობისათვის, კომუნისტური ოჯახის შექმნისათვის. ეს კი უშუალოდ არის დაკავშირებული ერის გამრავლებისა და მისი უკეთესი მომავლის უზრუნველყოფასთან, რასაც სერიოზული ყურადღება მიაქცია საქართველოს კომკავშირის (ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე ამ პლენუმზე ამბობდა: „საჭიროა ყოველმხრივ შეეწყოთ ხელი ახალგაზრდებს, რომ ჯანსაღი, კომუნისტური ოჯახები შექმნან და შექმნან დროულად“.

ა. დვალი,
პედაგოგი.

ლამაზ ეზო ქარ-მიდამოს — საპატიო სიგელი

ტყიბული. (ხაკ. კორ.). ქალაქში და მისი ზონის სოფლებში ყოველწლიურად ეწყობა გარეშოს კეთილმოწყობის დათვალიერება-კონკურსი. ეს ღონისძიება ტრადიციისამებრ ამჯერადაც მაღალ დონეზე ჩატარდა. ეიურიმ ანაერთი გამარჯვებული საწარმო და ინდივიდი გამოავლინა.

ეზო-ეარ-მიდამოს სანიმუშოდ მოწყობის საქმეში აქ ყველას აჯობა კურსების კოლმეურნეობის წევრმა შ. ბერეკაშვილმა. იგი სამახსოვრო მაჯის საათით და საპატიო სიგელით დაჯილდოდა.



მახარაძის რაიონის ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში მოაწყვეს საფუტკრე, რომელშიც 60 სკაა. უკვე წლეულს აქ 400 კილოგრამზე მეტ თაფლს მიიღებენ.

სურათებზე: მეფუტკრე ვახილ ვოშჩენკო უვლის ფუტკრების ოჯახს; ლაითურის საფუტკრე.
ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოკრონიკა).

ფიქრები აღზრდაზე

ლექსები, ლექსები...

„ქისა“

სამოცდაორგზეერდიანი ალმანახი ასაწყობად გადაუცია 1978 წლის 5 მაისს, ხოლო დასაბეჭდად ხელმოწერილია 1979 წლის 10 დეკემბერს. ერთი წელიწადი და ვეიდი თვე უთენ-უღამენია „აისს“ წარმოებაში. მისი ავტორები არიან მეორე-მეათეკლასელი მოსწავლეები, ლექსები დაუთარიღებელია, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი ბევრად ადრეა დაწერილი, ვიდრე შეკრებდნენ, წაიკითხავდნენ, წარმოებას გადასცემდნენ, დაბეჭდავდნენ და მკითხველამდე მიიტანდნენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ უმრავლესობამ კარგა ხანია დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო უმცროსნი, ალბათ, მეშვიდე-მერვე კლასში გადავიდოდნენ.

„პიონერის“ გრიფით გამოვიდა ქართველ მოსწავლეთა შემოქმედების ნიმუშები: ლექსები, ჩანახატები, სურათები. საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსწავლეთა მხატვრული აზროვნების, ფიქრისა და შემოქმედების ნაყოფი — ზოგისა ბევრი, ზოგის — ერთი ორი. რა პრინციპით არის განსაზღვრული ლექსების რაოდენობა, არ ჩანს. არადა, ნამდვილად კარგი ლექსები და ჩანახატებია გამოქვეყნებული. ზოგჯერ შეიძლება მოსწავლემ სათქმელი ვერ გამოეთქვა და ის არ თქვა, რაც მას შეეფერება, მაგრამ მაინც არის არა მხოლოდ ნიშატი, არამედ ნამდვილად გამართული თხზულებები, ბიჭუნებისა და გოგონების პოეზია.

არის-მეთქი თავისუფლად მოქნეული ფრაზები, რიტმისა და რითმის მსხვერპლად ქცეული გამოთქმები და სიტყვები, მაგალითად, „მედგრად კაშკაში“, ან „ნათლად კაშკაში“, „მითების გამოთქმა“, „ცრემლის გრძნობა“, არის ასეთი რითმაც — „მოხრაკული — დათაფლული“, არის შლეგანი შფოთვაც, ან ასეთი სტროქონი — „ერთი ციცქნა ღრუბლის ფთილაც აღარ მოჩანს არსად გარეთ“ არის პროზაიზმიც (მაგრამ რა ვქნა, მიიწურა სკოლის არდადეგები, მიმელიან მერხები და ჩემი მასწავლებლები), მაგრამ, როცა დახედავ, რომ ეს თხზულებები ნორჩებს დაუწერიათ, მათ ყველაფერს აპატიებ იმ სურვილით და იმ განზრახვით, რომ ავტორები ჯერ მოსწავლენი არიან.

კრებულში არის ლექსები, რომლებიც დაგაფიქრებს მარტივი, მაგრამ უზადო გრძნობით, განსაკუთრებით მამუა ჯანგულაშვილისა, სკოლა-ინტერნატის მოსწავლის ლექსი „დედა“; მისი წაკითხვის შემდეგ აღარაფრის თქმა აღარ არის საჭირო. მამუკამ თავისი სათქმელი თქვა დედაშვილური სიყვარულისა და დაობლებული ბავშვის გრძნობით.

მარტო ამისთვის ღირს, რომ „აისს“ მადლობა ვუთხრათ.

„ჩუმი ძახილი“

პოეტი ქალის ლექსების მესამე წიგნია. იგი იწყება პოეტური აღიარებით — ლექსის დამწერს გამოფენაზე გამოაქვს გაშიშვლებული გული, რომელიც იტკივებს სიამეს, ტკივილს, წყლულს. პოეტმა ასეთი გული უნდა ყველას დასანახავად დატოვოს ლექსში. პოეტის განცდები ამაღლებული უნდა იყოს, რამეთუ იგი სხვამაც უნდა გაიზიაროს.

ბელა შალვაშვილის ლექსთაგან ზოგიერთი სონეტია, უნდა ითქვას, მოხდენილი: მაგალითად, „გაბედულება“, „ეამსა ასეთს“, „განწმორება“, „გულმართალი ყვავილობა“, „შეცნობამ შენმა“ და სხვები. პოეტი ორსტროქონედებსაც წერს და აქაც არ ღალატობს ფრაზის სისზარტეს, და რითმის სიმდიდრესა და ლაზათიანობას. ლექსებში გამოირჩევა რვეულ ინანიშვილისადმი მიძღვნა — „ეს... თქვენ გაგიმარჯოთ“. სულ რაღაც თექვსმეტ სტროქონში დახატულია რ. ინანიშვილის თხზულებათა პერსონაჟების ნაღდი განწყობილებანი და სახეები:

ათასი ჭირის და ვარამის
მნახველებო,
ეს თქვენ გაგიმარჯოთ, ძმებო,
კახელებო!

პოეტური წარმოსახვანი უხვად არის გაბნეული ლექსებში. ღამის ელვა-ქუხილის მშვენიერი მხატვრული სახეა დახატული ერთგან: „ცაზე ტახები ირეოდნენ, აჩენდნენ ეშვებს, მერე აირივ-დაირივნენ, შეერთნენ წყვდიადს...“ აზრიანი და ზოგჯერ მოულოდნელი შედარებებია ჩაწინწკლული ლექსებში.

პოეტი ქალის სურვილები ადამიანთა სიყვარულს, თავისუფლების და სამშობლოს პატივისცემის ანარეკლია. სიერცე ესაჭიროება იმას, ვისაც ფრთები წამოზრდება. შესანიშნავი სურვილია გამოთქმული ლექსში — „გაქვს ყველაფერი“: ჩვენი მზე, ქაცია მაღალი ჭკუა-გონება, სიმაღლის მეტრი — რუსთაველი, სიბრძნე, მშვენება, ენა, სამშობლო.

წარსული და მომავალი

დაუფრეტელი მომავალი თანდათან წარსულს ემატება და რადგან იგი, ეს წარსული, დამტევია ჩვენთა განცდათა, ამიტომ მისი დავიწყება არ ეგების, ამ განცდით იწყება **გივი ალხაზიშვილის** ლექსების კრებული „წარსულის სარკმელი“. გივი ალხაზიშვილი ახალგაზრდა პოეტთა წყებაში დგას, თუმცა მან უკვე განვლო საკმაოდ მნიშვნელოვანი გზა შემოქმედებისა. იგი რჩება ისეთ შემოქმედად, რომლის ლექსებსაც ყურადღებით კითხულობს მკითხველი. ეს გამოწვეულია ყოფითი სურათების ისეთ ვითარებაში წარმოდგენით, როცა პოეტის ნათქვამი სიამოვნებას ჰგვრის ადამიანს მოხდენილი შედარებით და, რაც მთავარია, იმ ადამიანური წმინდა გრძნობით, რომელიც ყველა მოსიყვარულე გულს ასაზრდოებს, კრებულის პირველივე უსათაურო ლექსი საკმარისია ამ აზრის გასაგებად.

გივი ალხაზიშვილის ლექსების ძალა, მათი პოეტური ატრიბუცია ემოციურია, საშურია სწორედ ადამიანურობით, იმ გრძნობით, რომელიც ყოველ ჩვენგანს აქვს. პოეტის ლექსთან შეხვედრისას ეს გრძნობა ინთება და მკითხველის მინაგან თვისებებს აშუქებს. გივი ალხაზიშვილი განუწყვეტელ განცდებშია, ისინი მისი პიროვნებიდან მოედინებიან და თითქოს ჩვენთან საქმე არა აქვთ. მაგრამ, არა! ეს განცდები მკითხველისაც არის, რადგან პოეტთან ერთად ჩვენც თამამად ვამბობთ: „ჩემი სამშობლოს მიწა ვარჩიე სადმე სათბურში ჭკნობას“, ხომ გაისმის „სუმბულისა და მწერის“ მთავარი თემის ეღერა! პოეტის სევდანარევი ლექსის აზრი გასაგებია. დრო მიდის, ყველაფერი ნაწვალები და ნაფერმკრთალები ჩაიფერფლება, მაგრამ პოეტთან ერთად ჩვენც ვგრძნობთ, რომ უკვალოდ არ შეიძლება გაიღიოს ადამიანთა ყოფა, „მილიონობით ბავშვის თვალში“ ჩადგება ყოველი გარდასული სიცოცხლე და, ამრიგად, წარსულში გადასვლა მუდმივ არსებობად რჩება!

ეს სწამს პოეტს და ამ რწმენას ჩვენც გვინაწილებს.

„ლექსები“

ასე წაუწერია თავისი პატარა წიგნისათვის პოეტს. რამდენიმე წლის წინათ გამოვეხმაურე მის პირველ კრებულს. იგი შტკიცედ დგას არჩეულ შემოქმედებითს გზაზე. ეს **ბესიკ ხარანაულია.**

სათქმელისათვის აუცილებელი არ არის ტრადიცია დაიცვა სტრიქონის ზომაში, რიტმსა და გარითმვაში. მთავარია, სათქმელი ითქვას და მაინც დაგრჩეს განცდა პოეტური ნაწარმოების წაკითხვისა. მისი ლექსი აზრის ლექსია და არა ფორმისა, ფორმა სრულიად უფუნქციოა, ანდა ბესიკ ხარანაულის ლექსს აქვს პოეტის მიერ მიცემული ფორმა.

ლექსებში ბევრია გაზაფხულზე ნათქვამი, არის საგაზაფხულო და გაზაფხულისთვის ნათქვამი სიტყვა. პოეტში შემოდის დრო ბუნების გაღვიძებისა, რაც ამღერების საბაბად იქცევა. გაზაფხულის ზმზე მოსდგომია ღია ფანჯარას, სიხარულთან ერთად დაჭრის იგი ალმართ-დალმართზე. პოეტის სულში შესული გაზაფხულის სიხარული მარტივად არიგებს მას: შე სულელო, როცა ეემღერება, უნდა იმღეროო, რა ყურადღებას აქცევ, თუ რამ წამოფრინნა ეგ სიხარულიო. შემდეგ მშვენიერი შედარებაა: სიხარული გვირილაზე გატრუნული პეპელის მსგავსად წამოფრინდება. იქნებ ის პეპელა უკანასკნელ დღეზე მღეროდა! შედარებას ასოციაციები მოჰყვება, რომლებიც თითქოს ლექსის აზრის მთლიანობას არღვევენ. მაგრამ... თითქოს!

ადამიანურ სიყვარულს გამოხატავს მისი ლექსი „მუდარა“, პოეტს სურს ყოველი გასროლილი ისარი ააცილოს სამიზნესავით გაზრდილ შვილს მკერდს. ამაზე მკაფიოდ შვილის, მომავლის სიყვარული ძნელად თუ გამოითქმება. წაიკითხეთ ლექსი „მძიღვნა“, რომლითაც პოეტი თბილისის ქუჩებში დარგულ ხეებს მიმართავს, რაოდენ კეთილშობილნი არიან ეს ხეები, როგორც ადამიანთა დამხმარენი. წაიკითხეთ აუცილებლად „ბებოჩემის გარდაცვალება“, „ყურის ტკივილი, ბავშვი და დედ-მამა“, „მოხუცები ციოკში“ და ამოიკითხეთ ერთი საოცრად ზუსტი და ორიგინალური შედარება: „აკრობატი, ჭერზე დაკიდებული ჩამომწყდარი სმოვით“...

სიცოცხლის მომღერალი

ერთი კრებულის ანოტაცია გვაცნობს: „იგი (პოეტი) ბავშვობიდან საოცარ მოკაქვეული, წრფელი სტროფონებით ეხმაურება ჩვენს თანამედროვეობას...“ ეს გმირობაა!

ლექსების პატარა წიგნი „ჩემი ფიქრები ხარ“ იწყება ლექსით „სამშობლო“. პოეტის ფიქრი სამშობლოა.

მიჯაჭვული ვარ სარეცელს,
მაგრამ, მამულო, უშენოდ
არ მიცხოვრია არც ერთ დღეს.

ამ სიტყვებს განვიცდი არა როგორც დეკლარაციას, არამედ იმ გულისტკივილით, რომლითაც გამსჭვალულია **სულიკო დიასამიძე.** ჩვენი ცხოვრების მონაწილე, სამშობლოს გულწრფელი მსახური, აზრით, გრძნობით და ფიქრებით მამულთან მყოფი. „შეც მტკივა შენი მარჯვენა, არსაკიძეს რომ მოჰკვეთეს“...

მას, სარეცელზე მიკრულს, უნაკლო ინფორმაცია აქვს ჩვენი ყოფისა. იგი ენგურის კაშხალთანაც არის, სვანეთის ამ მდინარის ტალღებზეც, მთებზეც, ფიროსმანსაც უმღერის, ფშავსაც...

მე არ ვიცნობ ამ პოეტის ბიოგრაფიას, რამდენი ხნისაა სულიკო დიასამიძე, სად რა უსწავლია და უნახავს. თვით რომ არ ეთქვა პოეტს, ან მისი წიგნის ანოტაციაში რომ არ ეწეროს მის ავადმყოფობაზე, მკითხველი ვერ მიხვდება, რომ მას საკუთარი თვალით არ უნახავს ფშავი, ვანის არქეოლოგია, არ ასულა დიდგორზე. დიდი ძალა ყოფიერ სიცოცხლისა და სამშობლოს სიყვარული.

პოეტი ყველაფერს ხედავს წარმოსახვით და ნანახს ღრმად განიცდის. მას უყვარს ყველაფერი, რაც წინაპრებს თუმეტყველებათ. მის ლექსებში ყველაფერი სუნთქავს და მოძრაობს, თვით მთების გულიც და, რასაკვირველია, ქარისაგან დარხეული ოქროსფერი ფოთლები.

ასე მგონია, — მიმართავს იგი ზღვას, — რომ შენც ჩვენსავით ოცნებობ, ღელავ, დუმხარ და ფიქრობ.

სარეცელს მიჯაჭვული შემოქმედი ჩვენებრ ადევნებს თვალყურს მზისა და ვარსკვლავთა მოძრაობის სიმფონიას და შორეულ სანახაობაც ძლიერ ახლოს მოაქვს ჩვენთან.

უხმაურო ვედრება

წიგნის ბოლოში ორი ლექსია: „ისევ შენ გეტყვი“ და „მასწავლელი“. სევდიანი ლექსებია, ორივე ხსოვნას ეძღვნება, შავეთში გადასულ ადამიანთა სახსოვარია.

ირაკლი არაბულის ლექსთა ახლახან გამოცემულ კრებულს „ჩემი ვედრება“ ჰქვია. პოეტს წინაპართა სახელები ესმის არხვატიდან, შატილიდან, ხახმატიდან, გუდანიდან. ართხმოდანაც მოდის ხმა, ჯუთა იხვწება — მიპატრონეო. ამღასი და ჭიმღას ღაღადისი გაისმის — დამიბრუნდითო. ხევსურთა ცარიელი სოფლები უხმობენ შვილებს, მაგრამ სოფლებს აღარ შესწევთ ძალა ხმამაღლა თქვან თავანთი გასაჭირი, ამიტომ ჩუმი ვედრება ისმის ოდენ.

რომანტიკულია ირაკლი არაბულის ლექსები, რადგან მათში მხოლოდ სურვილი ან მაკლული გულის ხმაა გამოთქმული, ზოგჯერ მძაფრადაც. აქ ხევსურეთის შორიდან დანახვა და გულზე ნაღვლის წამოსვეა, რადგან შურთხიც და ნისლიც თავის თავს არიან მინებებული და დამნახავზმაყურებელი აღარ ჰყავთ, პოეტი შორიდან ეტრფიალ-ეხმაურება შატილს და ახატორს. საქართველოს მთიანეთში კოშკები კლდეებზე ფარებივით კიდია, ხეობანი ერთურთს ვერცხლის თასებს უდგამენ, არწივები ლექსებივით ჩაბუდებულან სიპებში და ჭიუხებში მაგრამ საქართველოს მთები სანახევროდ დაცარიელებულა.

რამდენი გმირული სახე შექმნა ქართულმა თმამ! ირაკლი არაბული ბევრ მათგანს აცოცხლებს თავის კარგ ლექსებში. მათში ფიქრი შესაფერი იერით არის გამოხატული. განსაკუთრებით ხვდება გულს, „ბრალი წიწოლას დედისა“ (...იგი სანათას შვილების ვაჟაკაცობასა და წიწოლას დედის ვაებას ეძღვნება). და „შატბერაანთ მუხის ფესვი“ — ეს კი იმ კარგ ადამიანს, მოქალაქეს და მწერალს ეხება, წელს რომ სამოცდაათი წლისა გახდა...

კოეტის დაბრუნება

კვლავ შემოვიდა ის ლექსები დღევანდელ ქართულ პოეზიაში, ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ ჯერ რომ მორიდებით, ხოლო მალე სავსე პოეტური ხმიანობით ახმაურდა. რა სამწუხარო იყო, რომ შემდეგ პოეტმა ქალმა, შეესანიშნავი ლექსების ავტორმა, რომელსაც ძალა და უნარი შესწევდა დაეპყრო ნაკად ოსტატთა არა მარტო ყურადღება, არამედ მათი აღტაცებაც გამოეწვია, სიჩუმე ირჩია! შეუძლებელია იმისი გაფიქრებაც კი, რომ მას აღარ ჰქონდა სიტყვის, რითმისა და პოეტური აზრის მარაგი. არა, სხვა რაღაც მოხდა, ჩვენთვის დაფარული.

მე იმის ხელებს შევადარებ
მინდვრის ზამბახებს,
მოხრილ წამწამებს ულიმიან
ანმონები,
ვეტრფი ვნებების შეთქმულებას
და ამბოხებას,
თვით ფერმკრთალ სიკვდილს
ათრთოლებით დავემონები...

ბევრი, ძლიერ ბევრი ფიქრი, აზრი და გრძნობა ჩასტია პოეტმა ქალმა ბრწყინვალე ლირიკულ, ამასთან ვნებიან ლექსებში. სულ ახალგაზრდამ დაიპყრო მაშინ პოლიფონიური ქართული პოეზიის სიმაღლეები და... შეჩერდა.

გახსოვთ? — „ვიცი, რომ მზითვად არ მომცემენ ვეფხისტყაოსანს“, ან კიდევ: „ჩემში მოვარდა მზის ნიაღვარი“, „შენ დაგავიწყდა ყველაფერი, როგორც სიზმარი“, „კრძალვით ვაკოცებ პოეზიის განიერ თვალებს“ და ბევრი სხვა აკიაფებული ლექსი, სტროფი, სტრიქონი.

გავიდა წლები, და, ოციანი წლების ქართული პოეზიის მშვენიერი ნიმუშები ოთხმოციან წლებში მოვიდა ჩვენთან პატარა წიგნით, რომელსაც ჰქვია „გვირილა“. ლექსებისათვის თავი მოუყრია და მცირე წინასიტყვაობა დაუთავაზ ნინო ჩიხლაძეს. „გვირილას“ ავტორი **ნინო თარიშვილია.**

დასანანია, რომ ნინო თარიშვილი, რომელსაც თავის დროზე ეხმაურებოდნენ ვასილ ბარნოვი, იოსებ გრიშაშვილი, პაოლო იამბელი, საფო მგელაძე, ტიციან ტაბიძე და ბევრი სხვა, განზე გადგა ქართულ ლექსს.

„გვირილამ“ პოეტი ქალი ნინო თარიშვილი დაგვიბრუნა!

სოლომონ ხუციშვილი.

ტელევიზია

20 აგვისტო

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.40 — განცხადებები, 18.45 — დოკუმენტური ფილმი, 19.05 — „გზებსა და გზაჯვარედინებზე“, 19.25 — „ოლიმპიადა-80“. კინოდღიური — 28 ივლისი (მ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — მულტფილმი, 20.20 — „ოლ ლიმპიელები შინ დაბრუნდნენ“ (მ.), 20.35 — „ბოამბე“ (ფ.). 21.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის „პირველ სიქმემბრამდე“, 21.25 — „მღერის ევგენი მარგინოვი“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — სპორტული მიმოხილვა (ფ.), 23.05 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით: 17.30 — „ლიტერატურული ცხოვრება“ — საინფორმაციო ფილმი, 17.45 — „ერნალი (ფ.), 18.45 — განცხადებები, 18.50 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მიგოლიანი“.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10261 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ვმეიეგ, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის 29.